



ბათუმის უნივერსიტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №5, მაისი, 2016

სტუდენტური დღეები – 2016

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სტუდენტურ დღეებში მიიღო მონაწილეობა. ბსუ-ს ფუტსალისა და ფრენბურთის გუნდებმა პირველობა სპორტულ აქტივობაში მოიპოვეს, ხოლო ნომინაციაში საუკეთესო მუსიკალური ნომერი ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა გრიგოლ ტვილიდიანმა გაიმარჯვა. უნივერსიტეტი ულოცავს სტუდენტებს ღირსეულ გამარჯვებას და წარმატებებს უსურვებს.



ბსუ-ში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გადაწყვეტილების მიღების პრობლემები გაურკვევლობის პირობებში“ გაიხსნა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში XXVII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიხსნა თემაზე: „გადაწყვეტილების მიღების პრობლემები გაურკვევლობის პირობებში“. კონფერენცია ტარას შევჩენკოს კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით ტარდება და მასში 9 ქვეყნის 42 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მონაწილეობს. სამდღიანი კონფერენცია ცნობილი უკრაინელი მათემატიკოსის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრ ნაკანენჩამუს 70 წლის იუბილეს ეძღვნება და 27 მაისს დასრულდება.



სტუდენტების უნიკალური და ტექნოლოგიური სიახლით გამორჩეული პროექტების გამოფენა



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული პროექტების გამოფენა მოეწყო. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო უნიკალური და ტექნოლოგიური

ური სიახლით გამორჩეული პროექტების სადემონსტრაციო მოდელ-მაკეტები: ულტრაბერითი მეგაზური უსინათლოთათვის, რომელიც მათ შერობასა და შენობის გარეთ გადაადგილებაში ეხმარება და ხელსაწყო აგრარული გაზომვებისთვის, რომლის საშუალებითაც მიწისა და ჰაერის ტენიანობის, ტემპერატურის და მიწის მოსავლიანობას გაზომვა ხდება. აგრეთვე, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სტუდენტების მიერ შესრულებული WEB, სასწავლო და საფინანსო პროექტები: საინფორმაციო, სამაკლერო სააგენტოს, სასაწყობო მეურნეობების მონაცემთა ბაზები, საგანმანათლებლო, სამშენებლო კომპანიების, სასტუმროების, რესტორნებისა და სავაჭრო დაწესებულებების საფიზიკო ვებგვერდები, ტესტირების, დაგეგმარებისა და მოდელირების სისტემები, ადმინისტრირებადი მონაცემთა ბაზები და სამგანზომილებიანი ფლემ ვალერები. წარმოდგენილი ნამუშევრები რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ხალვაშმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა დაათვალიერეს. იხილეთ პროექტების პრეზენტაცია: Web პროექტები პროექტები

მემორანდუმი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ხალვაშმა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა გურამ ალექსიძემ თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მხარეები აგრარული მიმართულებით ერთობლივი პროგრამებისა და პროექტების განხორციელებაზე შეთანხმდნენ. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს დარგში არსებული აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისათვის ერთობლივი შემოქმედებითი ჯგუფების ჩამოყალიბებას, სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას, სამეცნიერო მიღწევებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების სფეროში გამოცდილების გაზიარებას.



ბსუ-ს ფოლკლორული ანსამბლი „თირინი“ ლატვიის ფესტივალის ლაურეატი გახდა



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული ანსამბლი „თირინი“ ლატვიის ქალაქ დაუგავილის მე-11 საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი გახდა. ფოლკლორული მუსიკის ფესტივალის ლატვიის კულტურის სამინისტროსა და დაუგავილის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ჩატარდა და მასში 11 ქვეყნის 27-მდე მუსიკალური ჯგუფი მონაწილეობდა.

გაეროს ახალგაზრდული ასამბლეა ბათუმში

სასტუმრო „ჰილტონ ბათუმში“ გაეროს მოდელირებული ახალგაზრდული ასამბლეა გაიხსნა. ფორუმში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით 8-10 მაისის ჩათვლით ტარდება და მასში 400-მდე დელეგატი მონაწილეობს. ასამბლეის მიზანი ახალგაზრდების როლის გაზრდა გლობალური მიზნების განხორციელებაში და იმ ძირითად 17 გამოწვევაზე მსჯელობაა, რომლის წინაშეც დგას მსოფლიო: განათლება, ეკოლოგია, ჯანდაცვა, სიღარიბის დაძლევა. მონაწილე დელეგატები 2 დღის განმავლობაში სხვადასხვა თემაზე გამართულ სესიებში, კინოჩვენებებსა და დებატებში მიიღებენ მონაწილეობას. აგრეთვე, დაგეგმილია ოფიციალური ვიზიტები აჭარის ა/რ სამთავრობო სტრუქტურებსა და დიპლომატიურ ორგანიზაციებში.

გაეროს მოდელირებული ასამბლეა საქართველოში მეორედ, ბათუმში კი პირველად არასამთავრობო ორგანიზაციის „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულების განმტკიცებისათვის“ და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ტარდება.

10 მაისს, სასტუმრო „ლეონარდო“ დაგეგმილ დასკვნით ლონისძიებაზე მონაწილეების ოფიციალური დაჯილდოება და გამარჯვებული პროექტების არჩევა გაიმართება. გამარჯვებული დელეგატი საზღვარგარეთ გაემგზავრება.





საჯარო სამართლის იურიდიული პირი —
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დადგენილება №26

2016 წლის 27 მაისი, ქ. ბათუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8, 25-ე, 37-39-ე მუხლების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის 4 (ოთხი) წლის ვადით დასაკავებლად არჩევნები გამოცხადდეს 2016 წლის 30 მაისს.
- რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:
 - უმაღლესი განათლება (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);
 - 5 წლის სამუშაო გამოცდილება;
 - სამოქმედო გეგმა.
- კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35, ოთახი 4), 2016 წლის 1 ივლისიდან 8 ივლისის ჩათვლით, შაბათ-კვირისა და სხვა უქმე დღეების გარდა, 10 სთ-დან 16 სთ-მდე.
- კანდიდატმა ამ დადგენილების მე-3 პუნქტში მითითებულ ვადაში საარჩევნო კომისიაში სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:
 - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
 - ფერადი ფოტო, ზომით D;
 - ავტობიოგრაფია (CV);
 - უმაღლესი განათლების (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების სათანადო წესით დამონებული ასლი;
 - სამოქმედო გეგმა;
 - ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ (ამონაწერი შრომის წიგნაკიდან);
 - ცნობა ნარკოლოგიური შემთხვევების შესახებ;
 - ცნობა ნასამართლობის შესახებ;
- დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ განხორციელდეს 2016 წლის 18 ივლისს, 12:00 სთ-ზე.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნები ჩატარდეს 2016 წლის 18 ივლისს, 15:00 სთ-ზე.
- რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადების (დანართი 1) გამოქვეყნება დაევალოს:
 - ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე — ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს არაუგვიანეს 2016 წლის 30 მაისისა;
 - ყველასათვის თვალსაწიანო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე) — ბსუ-ს კანცელარიას და ფაკულტეტების სამდივნოებს არაუგვიანეს 2016 წლის 30 მაისისა;
 - ბსუ-ს გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“ — ამ გაზეთის რედაქტორს არაუგვიანეს 2016 წლის ივნისის პირველი სამუშაო კვირისა.
- დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
- წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 30).
- დადგენილება ძალაში შედის ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი გურამ ჩაგანავა

დანართი 1

განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის 4 (ოთხი) წლის ვადით დასაკავებლად არჩევნები გამოცხადდეს 2016 წლის 30 მაისს.
- რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:
 - უმაღლესი განათლება (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);
 - 5 წლის სამუშაო გამოცდილება;
 - სამოქმედო გეგმა.
- კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35, ოთახი 4), 2016 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 8 ივლისის ჩათვლით, შაბათ-კვირისა და სხვა უქმე დღეების გარდა, 10 სთ-დან 16 სთ-მდე.
- კანდიდატმა მე-3 პუნქტში მითითებულ ვადაში საარჩევნო კომისიაში სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:
 - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
 - 2 ფერადი ფოტო, ზომით D;
 - ავტობიოგრაფია (CV);
 - უმაღლესი განათლების (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების სათანადო წესით დამონებული ასლი;
 - სამოქმედო გეგმა;
 - ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ (ამონაწერი შრომის წიგნაკიდან);
 - ცნობა ნარკოლოგიური შემთხვევების შესახებ;
 - ცნობა ნასამართლობის შესახებ;
- დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ განხორციელდეს 2016 წლის 18 ივლისს, 12:00 სთ-ზე.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნები ჩატარდეს 2016 წლის 18 ივლისს, 15:00 სთ-ზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის —
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

ბაეროს
მოდელირებული
ახალგაზრდული
ასამბლეა
საზიზოდ დაიხურა



ბაეროს მოდელირებული ახალგაზრდული ასამბლეა სასტუმრო „ლეოგრანდში“ საზიზოდ დაიხურა. გამოვლინდა სარეზოლუციო პროექტების გამარჯვებული სტუდენტები და მოსწავლეები. პროექტის გამარჯვებული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების 1-ლი კურსის სტუდენტი ირინე ტაკიძე გახდა, რომელიც 2 თვით უცხოეთში სტაჟირებაზე გაემგზავრება. დახურვის ცერემონიაზე ორგანიზატორებმა პროექტში მონაწილე ლიდერი სტუდენტები, ორგანიზატორები და ლონისიების მხარდამჭერები სერტიფიკატებით დააჯილდოეს.

ბაეროს მოდელირებული ასამბლეა ბათუმში პირველად, არასამთავრობო ორგანიზაციის „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულების განმტკიცებისათვის“ და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმართველობას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში 8-10 მაისს ჩატარდა. ასამბლეაში 400-

მდე დელეგატი მონაწილეობდა. ასამბლეს მიზანი ახალგაზრდების როლის გაზრდა გლობალური მიზნების განხორციელებაში და იმ ძირითად 17 გამოწვევაზე მსჯელობა იყო, რომლის წინაშეც დგას მსოფლიო: განათლება, ეკოლოგია, ჯანდაცვა, სიღარიბის დაძლევა.

მონაწილე დელეგატები 2 დღის განმავლობაში სხვადასხვა თემაზე გამართულ სესიებში, კინორჩვენებებსა და დებატებში მონაწილეობდნენ.

კორნელი კაკაჩიას საჯარო ლექცია —
„უმაღლესი განათლება საქართველოში:
მიღწევები, გამოწვევები, პერსპექტივები“



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორის, პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგის ექსპერტის კორნელი კაკაჩიას საჯარო ლექცია გამართა თემაზე: „უმაღლესი განათლება საქართველოში: მიღწევები, გამოწვევები, პერსპექტივები“. საჯარო ლექციაზე მომსახურებელმა პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს საქართველო — ევროკავშირის შეთანხმების შესახებ გზამკვლევი წარუდგინა და მისი იმპლემენტაციის ხელშეწყობაზე ისაუბრა. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე პრობლემებზე, გამოწვევებსა და პერსპექტივებზე, რომელსაც ბოლონის პროცესი ქართული უნივერსიტეტების წინაშე აყენებს.

საჯარო ლექციათა ციკლი „განათლების საკითხებზე“ საქართველოს პროფესიული განვითარების ცენტრის ორგანიზებითა და

აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა.

საქველმოქმედო გამოფენა
„სტუდენტები სტუდენტებისთვის“

უნივერსიტეტში სტუდენტთა ნახატებისა და ხელნაკეთი ნივთების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა გამართა სახელწოდებით „სტუდენტები სტუდენტებისთვის“.

გამოფენაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ.

ახალგაზრდების ნახატები და ხელნაკეთი ნივთები ბსუ-ს რექტორმა და პროფე-

სორ-მასწავლებლებმა შეიძინეს. საქველმოქმედო გამოფენიდან შემოსული თანხა სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების ფონდში გადაირიცხა.

კომპეტენტურმა ჟიურიმ ნომინაციაში — „დამთავლიერების სიმპათია“ 2 გამარჯვებული ნამუშევარი გამოავლინა და სივლეობთან ერთად ფასიანი საჩუქრები გადასცა.

ლონისიება სტუდენტური ასოციაციის, სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების ცენტრის ორგანიზებით გამართა.



ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მაისის თვეში არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის:

10 მაისს საზეიმოდ აღინიშნა „ევროპის დღე“: გაიმართა ევროპის ქვეყნებში სასწავლო პრაქტიკისა და გაცვლითი პროგრამების ამსახველი პრეზენტაციები „სწავლა ევროპაში“, „ერაზმუს +“; სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა მოისმინეს საჯარო ლექცია: „ევროკავშირი გუმინ, დღეს, ხვალ“, ნახეს დოკუმენტური ფილმი „მოგზაურობა ევროპაში“; მოენყო ფლემიზები: „ევროპა იწყება საბერძნეთით“ — ანტიკური სამოსის დეფილე, რომელიც წარმოადგინეს სტუდენტებმა; რომანისტიკის, გერმანისტიკის ანგლისტიკის, სლავისტიკის ქართველოლოგიის სპეციალობის სტუდენტებმა წარმოადგინეს ნაციონალური სტენდები და კუთხეები.

ამ დღეს მიეძღვნა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის სპეციალობის სტუდენტთა კონფერენცია: „ევროპა და საქართველო“;



საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, კავკასიის უნივერსიტეტისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ქეთევან მუხიგულმა საჯარო ლექცია-სემინარი წაიკითხა თემაზე: „ადამიანის უფლებები, თავისუფლება და მოვალეობა დემოკრატიულ და არადემოკრატიულ პოლიტიკურ რეჟიმებში“. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაფორმალური განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებული ორდღიანი საჯარო ლექცია აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმალღესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა. სემინარის დასასრულს მონაწილე სტუდენტებს სერტიფიკატები გადაეცათ.



ამავე პროგრამის („უმალღესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის) დაფინანსებით 23-25 მაისს პოლონელი პროფესორის, ჯოანა შერშუნიოვიჩის საჯარო ლექცია გაიმართა თემაზე: საჯარო საუბრის ხელშეწყობა; აკადემიური ტექსტი და მისი სპეციფიკა; კულტურათაშორისი კომუნიკაცია: მნიშვნელოვანი განსხვავებები.

ლექციის მიზანი იყო აუდიტორიისათვის ეფექტური საჯარო გამოსვლის თანამედროვე მეთოდების გაცნობა და აკადემიური სტილის, როგორც წერილობითი კომუნიკაციის განსაკუთრებული ტიპის დახასიათება. შეხვედრის დროს, ჯოანა შერშუნიოვიჩმა კომუნიკაციის იმ მსგავსება-განსხვავებების ანალიზი მიმოიხილა, რომელიც ლინგვისტური და კულტურათაშორისი კომუნიკაციის დროს არსებობს.



25 მაისს თურქოლოგიის სპეციალობის სტუდენტებმა ყოველწლიური შემაჯამებელი ღონისძიება გამართეს სახელწოდებით „სამშობლო“, რომლის ფარგლებშიც ქართული და თურქული სამზარეულოს გამოფენა-დეგუსტაცია გაიმართა. ღონისძიებას, რომელიც შემაჯამებელი კონცერტით დასრულდა, პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ერთად თბილისის იუნესკო ემრეს თურქული კულტურის ცენტრის დირექტორი ბატონი ზეკერია გიულთექინი და თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული ქალაქ ბათუმში იასინ თემიზქანი ესწრებოდნენ.

ამავე დღეს თურქეთის რესპუბლიკის საქარაის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტის თურქული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, ასისტენტ-პროფესორმა მუჰარემ იოჩალინიმ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „დიალექტების კვლევის მნიშვნელობა კულტურასა და ენათმეცნიერებაში და თურქულის დიალექტების კვლევა“.



2016 წლის 24 მაისიდან 28 მაისის ჩათვლით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფრანგული ფილოლოგიის მიმართულებაზე მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი ჩატარდა შემდეგ თემებზე: თარგმანის თეორია; ფრანგული და ქართული პოლიტიკური ტერმინოლოგია; ფრანგული და ქართული პოლიტიკური დისკურსის კვლევა და ანალიზი; ზეპირი-თანმიმდევრული თარგმანი ფრანგულიდან ქართულ ენაზე და ქართულიდან ფრანგულ ენაზე საერთაშორისო და დიპლომატიურ თემატიკაზე. ტრენინგი საქართველოს ფრანგული ინსტიტუტისა და არასამთავრობო ორგანიზაციის „ლინგვა პლუსის“ ერთობლივი ორგანიზებით და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის დაფინანსებით ჩატარდა. ტრენინგს უძღვებოდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, არასამთავრობო ორგანიზაციის „ლინგვა პლუსის“ თავმჯდომარე ქეთევან ჯაში. ტრენინგის დასასრულს შემაჯამებელი გამოკითხვა ჩატარდა და მონაწილეებს: პროფესორ ნატალია სურგულაძეს, ასისტენტ პროფესორ ნათია აბაშიძეს, უფროს მასწავლებლებს დინარა ფაღავას და ნინო გურგენიძეს და მასწავლებლებს მანონი ძნელაძეს, სერტიფიკატები გადაეცათ.



26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე ღონისძიებით აღინიშნა. უნივერსიტეტის ფოიეში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი თემატური გამოფენა მოენყო და დოკუმენტური ფილმების ჩვენება შედგა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა მარინა გიორგაძემ დამთავლიერებლებს ასევე 1996 წელს ლევილი გადაღებული ფოტოები წარუდგინა. ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს მიძღვნა ისტორიის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია — „26 მაისი — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე“. სამეცნიერო სესია რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ხალვაშმა გახსნა და ისტორიული დღის მნიშვნელობაზე ისაუბრა. სტუდენტებმა მოხსენებები წაიკითხეს 1918-1921 წლებში განვითარებულ მოვლენებზე. მოხსენებლებმა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელეს როგორც: საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის კომიტეტის შექმნა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა და ეროვნული საბჭოს შექმნა, ბრესტის ზავი და საქართველო, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა — 1918 წლის 26 მაისი.

30 მაისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. სესია რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა მერაბ ხალვაშმა გახსნა და ისტორიული დღის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მოხსენებლებმა მიმდინარე წლის კვლევის შედეგები წარმოადგინეს და სამეცნიერო მიღწევები საზოგადოებას გააცნეს. კონფერენცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და ბსუ-ში საქართველოს ისტორიის კათედრის დაარსების 25-ე წლისთავს მიეძღვნა.





აღსრულებული მთავრობის

1918 წლის 26 მაისი —

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა



ნებისმიერი ერისთვის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა განსაკუთრებით საამაყო და საპასუხისმგებლო უფლებაა. ქართველი ერთი ამ თვალსაზრისით მსოფლიოს იმ გამორჩეულ ერთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც სახელმწიფოებრიობა რამდენიმე ათასი წლის წინათ შექმნეს. ქართველ ხალხს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთხელ მოუწია დაკავალი სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლა. XIX ს. დასაწყისში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. ქართველობა ყველა შესაძლო საშუალებით იბრძოდა ცარიზმის ბატონობისგან გასათავისუფლებლად, რაც შესაძლებელი მხოლოდ I მსოფლიო ომის მიწურულს გახდა.

1917 წლის თებერვლის დემოკრატიულმა რევოლუციამ რუსეთში დაამხო რომანოვების სამასწლოვანი თვითმპყრობელური რეჟიმი და იმედი მისცა იმპერიაში შემავალ არარუს ხალხებს მოეპოვებინათ ეროვნული დამოუკიდებლობა. მონარქიის დაცემას რუსეთში მოჰყვა მისი ხელისუფლების ინსტიტუტის — კავკასიის სამეფოსა და კავკასიის დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში მოიაზრებდა.

საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენისათვის განსაკუთრებით აქტიურად იბრძოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. 1917 წლის აპრილში ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული პარტიების ინიციატივით შეიქმნა „ინტერპარტიული საბჭო“, ხოლო აგვისტოში შედგა ამ საბჭოს დამფუძნებელი კონფერენცია. „ინტერპარტიული საბჭოში“ გაერთიანდნენ სოციალ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტური, ეროვნულ-დემოკრატიული და სხვა პოლიტიკური პარტიები გარდა ბოლშევიკური პარტიისა.

მსოფლიო ომი გრძელდებოდა და გაურკვეველი იყო თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები რუსეთში. აუცილებელი იყო ქართული პოლიტიკური ძალების შეთანხმებული მოქმედება, რაც საერთო ეროვნული პლატფორმის ჩამოსაყალიბებლად დღის წესრიგში აყენებდა ეროვნული ყრილობის მოწვევის აუცილებლობას.

„ინტერპარტიული საბჭო“ ინიციატივით სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა 1917 წლის შემოდგომისთვის გადაწყდა. მართლაც, 1917 წ. 19 ნოემბერს თბილისში გაიხსნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. მას სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებიდან 324 დელეგატი ესწრებოდა. ყრილობა „ინტერპარტიული საბჭოს“ სახელით გახსნა აკაკი ჩხენკელმა. დამტკიცებულ იქნა ყრილობის დღის წესრიგი. დღის წესრიგის პირველ საკითხზე „თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი“ მოხსენება გააკეთა ნოე ჟორდანიამ.

ყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე მოეთხოვათ საქართველოსთვის ფართო თვითმმართველობა. ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც აჭარიდან შეყვანილ იყვნენ: ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი, მემედ ბეგ აბაშიძე, რეჯებ ნიჟარაძე. 26 ნოემბერს ეროვნული საბჭოს სხდომაზე არჩეულ იქნა 15 კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტი ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით.

ამრიგად, შეიქმნა ეროვნული დანესებულება, რომელსაც, ჯერ კიდევ არ გააჩნდა რეალური ძალაუფლება, მაგრამ მონოპოლიური იყო მომავალში გამხდარიყო საქართველოს ხელისუფლების დამფუძნებელი, რაც მოვლენათა მსვლელობამ დაადასტურა კიდევ.

1917 წ. 7 ნოემბერს რუსეთში დაემხო დროებითი მთავრობა და ბოლშევიკებმა ძალაუფლება ხელში აიღეს. დროებითი მთავრობის დამხობას მოჰყვა ამიერკავკასიაში ოზაკომის გაუქმებაც. ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა გადაწყვიტეს გამაჯნოდნენ ბოლშევიკურ რეჟიმს რუსეთში და შეექმნათ დროებითი მმართველობა.

1917 წ. 15 ნოემბერს შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომლის თავმჯდომარედ, შრომისა და საგარეო საქმეების კომისარად დაინიშნა ე. გეგეჭკორი. 18 ნოემბერს ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემულ პირველივე დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ „კომისარიატის ხელისუფლება დროებითია, სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე“.

პირველი მსოფლიო ომის გრძელდებოდა, რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა ლენინის ხელმძღვანელობით ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით აუცილებლად თვლიდა გერმანიასა და მის მოკავშირეებთან მოლაპარაკების დაწყებას. რუსეთთან ზავის დადებით და ომის შეწყვეტით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო თურქეთი, რადგან იგი ომს აწარმოებდა ანტანტის ქვეყნებთან და მარცხს მარცხზე განიცდიდა.

1917 წ. 17 (30) ნოემბერს კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა პრეფერალსკიმ წერილი მიიღო კავკასიის ფრონტის თურქეთის ჯარების მთავარსარდლის გენერალ ვეჰბი ფაშასგან, რომელიც წინადადებას იძლეოდა დაეწყოს მოლაპარაკება დროებითი ზავის დადების მიზნით.

5 (18) დეკემბერს ერზინჯანში ხელმოწერილ იქნა დროებითი ზავი. დაზავების შემდეგ დაიწყო რუსეთის ჯარის გამოყვანა თურქეთის ტერიტორიიდან. მალე რუსეთში მოვლენები რადიკალურად შეიცვალა. 1918 წლის 6 იანვარს ლენინის მითითებით გარეკეს დამფუძნებელი კრება, რომლის მონაწილესაც ასე მოუწოდებლად ელოდნენ ამიერკავკასიის პოლიტიკური ძალები. 12 იანვარს თბილისში ცნობილი გახდა ეს ფაქტი. ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის კომისარიატის წინაშე ალტერნატივა დადგა: მას ან უნდა ეცნო ამიერ-

კავკასიის ბოლშევიკური მთავრობა და მასთან ერთად დაეწყო საზავო მოლაპარაკება, ან დამოუკიდებლად გაემართა მოლაპარაკება თურქეთთან. რუსეთის კომისარიატმა მეორე გზა აირჩია.

ბოლშევიკების მიერ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ ე. გეგეჭკორის აზრით, ამიერკავკასიის კანონიერი მთავრობის შესაქმნელად არსებობდა მხოლოდ ერთი გზა — დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელი დელეგატების მონაწილეობით სეიმის შექმნა, რომელიც პარლამენტის — საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას შეასრულებდა. სეიმის მოწვევის იდეა მონაწილეს იქნა. მას მხარი დაუჭირეს სახვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა.

10 (23) თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატის თაოსნობით მიიწვეული იქნა სეიმი. მასში შევიდნენ რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატები, რომლებიც არჩეული იყვნენ ამიერკავკასიიდან და სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები. ამიერკავკასიის სეიმის შექმნა არსებითად ნიშნავდა იურიდიულად ამიერკავკასიის გამოყოფას საბჭოთა რუსეთისგან, მაგრამ სეიმმა ოციცალიურად მაინც ჯერ თავი შეიკავა გამოცხადებისა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა.

ოსმალეთმა ხელსაყრელი ვითარების გამოყენება გადაწყვიტა. 1918 წ. 12 თებერვალს ოსმალეთის ჯარი კავკასიის საზღვრებისკენ დაიძრა. ვინაიდან დეკემბერ-იანვრის განმავლობაში რუსეთის ჯარი ფაქტიურად დაიშალა თურქებმა დაარღვიეს სახელმწიფო ფარგლებში შემავალი საზღვრები, რომელიც არსებობდა რუსეთსა და თურქეთს შორის 1914 წლამდე და მიეღწიათ თურქეთის სახელმწიფო ფარგლებში შემავალი სომხეთის ტერიტორიის ავტონომიისათვის. საზავო დელეგაციის თავმჯდომარედ დაინიშნა აკ. ჩხენკელი.

ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის მთავრობამ გადაწყვიტა დეჩქარებინა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება. მომავალ საზავო ხელშეკრულებაში უცვლელად უნდა დეტალურდებინათ ის სახელმწიფო საზღვრები, რომელიც არსებობდა რუსეთსა და თურქეთს შორის 1914 წლამდე და მიეღწიათ თურქეთის სახელმწიფო ფარგლებში შემავალი სომხეთის ტერიტორიის ავტონომიისათვის. საზავო დელეგაციის თავმჯდომარედ დაინიშნა აკ. ჩხენკელი.

1918 წ. 3 მარტს რუსეთმა გერმანიისა და მის მოკავშირეებთან გააფორმა ცნობილი ბრესტის ხელშეკრულება. 17 თებერვალს (4 მარტს) საღამოს 4 ს. 30წ. ე. გეგეჭკორმა ბრესტ-ლიტოვსკიდან მიიღო რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის საზავო დელეგაციის მდივნის კარახანის მიერ ხელმოწერილი დეკლარაცია, რომელიც ეწერა: „თვითგამორკვევის გზით რუსეთს უნდა ჩამოშორდეს არტანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები“. ფაქტიურად რუსეთმა თურქეთს „დაუთმო“ ქართული და მთხზური ტერიტორიები. ამ დეკლარაციაში ამიერკავკასიის მთავრობის დიდი პროტესტი გამოიხატა. თურქეთი, თავის მხრივ, ჩქარობდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების რეალიზაციას. გადაწყდა თურქეთთან საზავო მოლაპარაკებების დაწყება. მოლაპარაკებების ადგილად ქ. ტრაპიზონი განისაზღვრა.

22 თებერვალს (7 მარტს) ამიერკავკასიის დელეგაცია თბილისიდან გაემგზავრა, მეორე დღეს ბათუმში ჩავიდა და იქიდან კრესიერ კაროლით ტრაპიზონში გაემგზავრა. ამიერკავკასიის დელეგაცია, შეიარაღებული დაცვის ჩათვლით, 100-მდე კაცს ითვლიდა. 23 თებერვალს (8 მარტს) დელეგაცია ტრაპიზონში ჩავიდა. ოსმალეთი არ ჩქარობდა კონფერენციის დაწყებას. მისი დელეგაცია ტრაპიზონში

მხოლოდ, ოთხი დღის დავიანებით ჩავიდა. ამასთანავე თურქეთის დელეგაცია მცირერიცხოვანი (სულ 5 კაცი) იყო და მეორეხარისხოვანი თანამდებობის პირებისაგან შედგებოდა. თურქეთის დელეგაციას თავმჯდომარეობდა ჰუსეინ რაუფ ბეი, პირველი რანგის კაპიტანი, საზღვაო დეპარტამენტის შტაბის უფროსი.

ტრაპიზონის კონფერენციის მსვლელობის დროს (მიმდინარეობდა 1918 წლის 14 მარტიდან 5 აპრილამდე) ჩატარდა ექვსი პლენარული სხდომა და ორი არაოფიციალური შეხვედრა. თურქეთის მხარე ამიერკავკასიის დელეგაციისგან მოითხოვდა: 1. გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა, 2. ეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება და მისთვის გადაეცა არტანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები. კონფერენციის მსვლელობის დროს ცხადი გახდა, რომ თურქეთის დელეგაცია რაიმე კომპრომისზე ნასვლად არ აპირებდა. ამიტომ ამიერკავკასიის მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, რათა თავიდან აეცილებინა თურქეთთან ომი.

ტრაპიზონის კონფერენციის დროს გამოაშკარავდა წინააღმდეგობა თვით ამიერკავკასიის დელეგაციის წევრებს შორის. აშკარა იყო დელეგაციის აზერბაიჯანელი წევრების პროტურქული ორიენტაცია. ამასთან, ყოველი ეროვნული ჯგუფის წარმომადგენელი ცდილობდა დაეკმაყოფილებინა თურქეთის ტერიტორიული პრეტენზიები თავისი მეზობლის ხარჯზე.

23 მარტს (5 აპრილს) ტრაპიზონის კონფერენციის მსვლელობაში ოსმალეთმა განახლეს შემოტევა კავკასიის მიმართულებით. ოსმალეთმა როგორც სამხედრო, ისე ყველა იდეოლოგიური რესურსი გამოიყენა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ფრონტზე ვითარება ყოველდღე მძიმდებოდა. ამიერკავკასიის დელეგაცია ერთგვარ დათმობაზე წავიდა. თურქეთის ხელში გადადიოდა ოლთისის მხარე მთლიანად, არტანის ოლქის სამხრეთი ნაწილი, ყარსის ოლქის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და ყალიზანის დასავლეთი ნაწილი, მაგრამ ეს დათმობა თურქეთს ეცოტავა, არ დათანხმდა და 24 მარტს (6 აპრილს) აკაკი ჩხენკელმა მიიღო ულტიმატუმი — 48 საათის განმავლობაში გაეცა პასუხი — ლეზილობა თუ არა იგი ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებს. 26 მარტს (8 აპრილს) თურქეთის ჯარებმა მიიღეს ბრძანება დაეწყოთ შეტევა ამიერკავკასიის ქვეყნებში.

შემოჭრილ ოსმალეთის ჯარს დახვდნენ არარეგულარული სომეხთა და ქართველთა მხმეზები, რომელთაც ვერ შეძლეს მტრის შეჩერება. გასაგებია, რომ ამ პირობებში ა. ჩხენკელი იძულებული შეიქმნა უკან დაეხია და ეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას. ამ წინადადებით მან მიმართა თურქეთის დელეგაციას 28 მარტს (10 აპრილს).

თურქეთის დელეგაციის ძირითადი მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნა — ამიერკავკასიის მთავრობამ ცნო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები, მაგრამ თურქეთის მთავრობამ უკვე ახალი ტერიტორიული მოთხოვნები წარმოადგინა. ასეთ მძიმე და რთულ ვითარებაში 31 მარტს (13 აპრილს) ჩატარდა ამიერკავკასიის მთავრობის, სეიმის პრეზიდიუმისა და ფრაქციების წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც მიღებულ იქნა ირაკლი (კაკი) ნერეთლის რეზოლუცია — გამოწვეულ იქნას ტრაპიზონიდან საზავო დელეგაცია.

სეიმმა მიიღო მანიფესტი ამიერკავკასიის ერებისადმი: სამშობლო განსაცდელშია. მთავრობამ გამოა-

ცხადა საყოველთაო მობილიზაცია. ყალიბდებოდა მოხალისეთა რაზმები, დაიწყო იარაღის შეგროვება და სხვ. ამიერკავკასიის მუსლიმური მოსახლეობა ომში მონაწილეობას არ იღებდა, ამიტომ მთელი სიმძიმე ქართველებსა და სომეხებს დაწავდა.

ამ განსაცდელის უამს ვერ მოხერხდა ძალების კონსოლიდაცია. მიუხედავად ქართველებისა და სომეხების თავგანწირული ბრძოლისა, მათ ვერ შეძლეს თურქეთის რეგულარული ჯარის შეტევის შეჩერება და თანდათან უკან იხევდნენ. 2 (15) აპრილს ოსმალეთმა ბათუმი დაიკავეს, 4 (17) აპრილს — ოზურგეთი. შემდეგ გაიმართა ბრძოლა მდ. ჩოლოქთან, სადაც ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ. ამის მიუხედავად, მათ შეძლეს თითქმის მთელი მესხეთისა და სომხეთის ტერიტორიის ნაწილის დაკავება. ამ ხნის განმავლობაში (9 აპრილიდან 23 აპრილამდე) თურქეთის ჯარმა გაცილებით უფრო ვრცელი ტერიტორია დაიკავა, ვიდრე ეს იყო დადგენილი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით. ასეთ ვითარებაში ომის გაგრძელება შეუძლებელი იყო.

სეიმმა დააკმაყოფილა თურქეთის მოთხოვნა და ამიერკავკასია დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკად გამოაცხადა.

ე. გეგეჭკორის მთავრობა გადადგა ახალი მთავრობის შედგენა დაეწვილა. ჩხენკელს, მანვე დაიკავა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. აკ. ჩხენკელმა აცნობა თურქეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს, რომ ამიერკავკასიის მთავრობას სურვილი აქვს განახლოს მოლაპარაკება, ხოლო ოსმალეთის კავკასიის ფრონტის მთავარსარდალს ვეჰბი — ფაშას სთხოვა შეჩერებინა საომარი მოქმედება, ვიდრე არ დამთავრდება საზავო მოლაპარაკება. მაგრამ თურქებმა მაინც დააარღვიეს პირობა, დაიკავეს ყარსი და გაემართნენ ალექსანდრეპოლისაკენ. აკ. ჩხენკელმა პროტესტი გამოაცხადა ოსმალეთამ მოქმედების გამო, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

11 (24) აპრილს ვეჰბი-ფაშამ შეატყობინა აკაკი ჩხენკელს: 1. თურქეთის მთავრობამ იცნო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. 2. თურქეთის მთავრობამ მიიღო ამიერკავკასიის დელეგაციის წინადადება ბათუმში მოლაპარაკების განახლებაზე.

ამიერკავკასიის მთავრობამ დამტკიცა ბათუმის კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგაცია 45 კაცის შემადგენლობით. დელეგაციას ხელმძღვანელობდა აკაკი ჩხენკელი. 6 მაისს ამიერკავკასიის დელეგაცია ბათუმში ჩავიდა, მაგრამ არა როგორც მასპინძელი, არამედ ოსმალეთის სტუმარი. თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარე იყო ჰალილ-ბეი, იუსტიციისა და დროებით საგარეო საქმეთა მინისტრი. გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე იყო გენერალ-მაიორი ფონ ლოსოვი, გერმანელთა მთავარი შტაბის რწმუნებული სტამბოლში.

თურქეთის მთავრობის ინიციატივით ბათუმში ჩამოვიდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის დელეგაცია. მათი მოლაპარაკების მიზანი იყო, თურქეთის ხელშეწყობით ჩრდილოეთ კავკასიის შეერთება ამიერკავკასიასთან.

11 მაისს გაიხსნა ბათუმის სამშვიდობო კონფერენცია (კონფერენცია მიმდინარეობდა ორ ეტაპად: 11-26 მაისი და 31 მაისი-4 ივნისი). თითქოს ისე ჩანდა, რომ ბათუმის კონფერენციაზე რაიმე არსებითი პრობლემა აღარ წამოიჭრებოდა, რადგან ყოველივე ეს მოგვარდა ტრაპიზონის კონფერენციაზე. მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

ტემპუსის პროექტი „ლიდერების აღზრდა უმაღლესი საგანმანათლებლო რეფორმისათვის“

ბსუ 2012 წლიდან ჩართულია ტემპუსის პროექტში — „MAHATMA Developing Leaders for Managing Educational Transformation“ ლიდერების აღზრდა უმაღლესი საგანმანათლებლო რეფორმისათვის. პროექტში ჩვენს უნივერსიტეტთან ერთად ჩართულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შავი ზღვის უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ერევნის პედაგოგიური და ეკონომიკის უნივერსიტეტი, ვანაძეორის უნივერსიტეტი და სომხეთის აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, ასევე ევროპელი პარტნიორები: საფრანგეთის პროფესიული გადამზადების ცენტრი, სწავლებისა და ინოვაციების ევროპული ცენტრი (იტალია), კოლენც-ლანდაუს უნივერსიტეტი (გერმანია), მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი), ზაუ სპასა და მიდელსაქის უნივერსიტეტი (ინგლისი). ბსუ-ში პროექტს ხელმძღვანელობს ასოცირებული პროფესორი ლელა თურმანიძე, ადმინისტრაციული პერსონალი ნანა მაზმიშვილი. პროექტის მკლევართა გუნდია: ასოც. პროფ. ლელა თურმანიძე, პროფ. ლელა თავდგირიძე, პროფ. გული შერვაშიძე, პროფ. ნათია ნიკლაშვილი და ასისტ. პროფ. ნანა მაზმიშვილი. პროექტის ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა: ნათელა ნიკლაშვილმა, გული შერვაშიძემ, ლელა თავდგირიძემ, ასოცირებულმა პროფესორებმა: მადონა მიქელაძემ, ნინო აროშიძემ, ასისტენტ პროფესორმა ნანა მაზმიშვილმა, განათლების დოქტორმა ნინო მიქელაძემ.

პროექტის მიზანია საქართველოსა და სომხეთში განათლების რეფორმებისთვის მხარდაჭერა

ორგანიზებისთვის საჭირო ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. პროგრამის მომზადებას წინ უძღვოდა სამუშაო შეხვედრები: სომხეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, საქართველოში. საფრანგეთში სამუშაო ჯგუფმა იმუშავა საკითხებზე: კურსის დიზაინის ძირითადი პრინციპები, განათლება მდგრადი განათლებისათვის, აკადემიური პროგრამების სტრუქტურა ევროპაში, შეფასების როლი და მნიშვნელობა, ადამიანური რესურსების მართვა, ლიდერობა და მენეჯმენტი, ტექნოლოგიების გამოყენება სწავლება/სწავლაში, შეფასების ამოცანები, კურსის მონიტორინგი და შეფასება.

პროექტი ასევე ითვალისწინებდა პროფესიული განვითარების კურსების შემუშავებასა და დაინტერესებულ პირებისთვის შეთავაზებას. პროექტის ფარგლებში 2014 წლის იანვარში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ტრენინგები „ორგანიზაციულ მენეჯმენტსა“ და „სწავლების სტრატეგიებში“. ტრენინგი ჩატარდა სამაგისტრო პროგრამის

ში სხვადასხვა კატეგორიის სამიზნე ჯგუფების (აკადემიური პერსონალი, დამსაქმებელი, სტუდენტი) აქტიურ ჩართულობას. (სურათი) 4 სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინარულია და მის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებიდან. პროგრამა მოიცავს პრაქტიკას ბსუ-სა და რეგიონის სხვა უმაღლესი სასწავლებლების ცალკეულ სტრუქ-



2016 წლის 15-16 მარტს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტემპუსის პროექტის „MAHATMA“-ს ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე. ტრენინგს ატარებდნენ ინგლისის, იტალიის, ჩეხეთის ნამკვირვებელი უნივერსიტეტების პროფესორები. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „უმაღლესი განათლების მენეჯმენტი“ განმახორციელებელმა პერსონალმა წარმატებით გაიარა ტრენინგი და ყველა მონაწილემ მიიღო სერტიფიკატი: პროფ. ნათელა ნიკლაშვილი, პროფ. ლელა თავდგირიძე, პროფ. მარინე აროშიძე, ასოც. პროფ. ქეთიბერიძე, ასოც. პროფ. ნინოაროშიძე, ასისტ. პროფ. ნანამაზმიშვილი, ასისტ. პროფ. ნათია ნაკაშიძე, ასისტ. პროფ. ნანი მამულაძე, ასისტ. პროფ. მარინე გურგენიძე, ასისტ. პროფესორი და რეჯან გელაძე. მიღებული ცოდნა და გამოცდილება მნიშვნელოვანდ მოუქმდება ბსუ-ს შემდგომ პერსპექტივებზე.

მიზნით ჩატარდა რამდენიმე სემინარი, ერთ-ერთ მათგანს ესწრებოდა „ერაზმუს +“ ეროვნული ოფისის ხელმძღვანელი ლიკა ლლონტი. მან პროექტის გუნდის მუშაობა და მიღებული შედეგები დადებითად შეაფასა, ასევე ისაუბრა საერთაშორისო პროექტების მნიშვნელობასა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში ბსუ-ს შემდგომ პერსპექტივებზე.

პროექტის დაფინანსებით განხორციელდა მაგისტრანტთა მობილობა. ორი კვირის მანძილზე ჩვენს უნივერსიტეტში მობილობის ფარგლებში იმყოფებოდა სომხეთის ვანაძეორის უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 5 სტუდენტი. მათ მოსმინეს ლექციები სასწავლო დისციპლინაში — აკადემიური წერა, გაეცნენ საგანმანათლებლო პროცესს ჩვენს უნივერსიტეტში. ამის გარდა ჩვენი პროგრამის მაგისტრანტებთან ერთად დაათვალიერეს ქალაქის ლისსესანიშნაობები, გაეცნენ ქართულ კულტურას. აპრილის ბოლოს ჩვენი მაგისტრანტები გაემგზავრნენ ვანაძეორის უნივერსიტეტში, მოსმინეს ლექციები, იქაურებს გააცნეს ქართული კულტურა. ზაფხულში ჩვენმა 2 წარჩინებულმა მაგისტრანტებმა ნინო ჭელიძემ და თამუნა მეხეშიძემ მონაწილეობა მიიღეს კოლენ-სის უნივერსიტეტში საზაფხულო სკოლის მუშაობაში.

2016 წ იანვარში ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორმა გ. შერვაშიძემ, ლ. თავდგირიძემ, ნ. მაზმიშვილმა, ნ. აროშიძემ მონაწილეობა მიიღო ერევანში ჩატარებულ კონფერენციაში თემაზე: ეფექტური სწავლა/სწავლება — უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები ეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა ლიდერის თვისებები, ინტერკულტურული კომპეტენციების ფორმირება, განათლების პარამონიზაცია.



ტურებში, ჩვენი მაგისტრანტები აწარმოებენ კვლევებს უმაღლესი განათლების მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემებზე. სამაგისტრო პროგრამა უკვე მეორე წელია რაც ფუნქციონირებს.

პროექტის ფარგლებში შექმნილი იქნა 19 300 ევროს ღირებულების სახელმძღვანელოები და თანამედროვე ტექნიკა, რომელიც განთავსებულია ბსუ-ს ბიბლიოთეკაში. იგი ემსახურება არა მხოლოდ უმაღლესი განათლების მენეჯმენტის პროგრამის სტუდენტებს. პროექტის ძირითადი შედეგების ფართო საზოგადოებისთვის გაზიარების



კვალიფიციური კადრების მომზადებაში ევროპული გამოცდილების გაზიარების გზით უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამების, პროფესიული განვითარების კურსების განვითარება, სწავლის, სწავლებისა და სტუდენტთა შეფასების მეთოდებში სასწავლო შედეგზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვა, განათლების სფეროში დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის ხელშეწყობა ცვლილებების თაობაზე. პროექტის უმთავრესი შედეგია საგანმანათლებლო ლიდერების მომზადება, რომელთაც შეუძლიათ თავი გაართვან კომპლექსურ ცვლილებებს განათლების სფეროში. სამაგისტრო პროგრამა „უმაღლესი განათლების მენეჯმენტი“ შემუშავდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა გუნდის მიერ, ევროპელ პარტნიორებთან კონსულტაციების საფუძველზე. პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძენენ ეფექტური მმართველისთვის, ლიდერობისა და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების განხორციელებისათვის საჭირო კომპეტენციებს, მათ გააზრებული ექნებათ ეფექტური საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი გარემოს



განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა კონსტანტინე მეგრელიშვილმა და პროფესორმა ლელა თავდგირიძემ.

ბსუ-ში პროექტის ფარგლებში მომზადდა და წარმატებით გაიარა აკრედიტაცია სამაგისტრო პროგრამამ „უმაღლესი განათლების მენეჯმენტი“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა აგრეთვე საერთაშორისო აკრედიტაციის პილოტირება, აღსანიშნავია, რომ უცხოელმა ექსპერტებმა მაღალი შეფასება მისცეს როგორც სამაგისტრო პროგრამას, ასევე მის შემუშავება-



ასოციაციის პროფესორი
ლელა თურმანიძე
პროფესორი გული შერვაშიძე
პროფესორი ლელა თავდგირიძე



ინდოელი სტუდენტები საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე

გასული წლის დეკემბრის თვიდან, 37 ინდოელი სტუდენტი ჩვენი უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას ეუფლება. სულ ცოტა ხნის წინ კი, მათ კიდევ ახალი ნაკადი დაემატა. დიდა ინტერესი ქართველი სტუდენტებისა თუ პროფესორ-მასწავლებლების მხრიდან უცხოელი სტუდენტების

მიმართ, რაც ორივე მხრივ, ღიმილიანი, თავაზიანი მისაღობითა და მოკითხვით შემოიფარგლება. თავდაპირველად მათთან ინგლისურად მოსაუბრეთა სახეებს ნახავდით. დღეს, უკვე ხუთი თვის შემდეგ კი, სასიამოვნოა, რომ უცხოელი სტუდენტები ქართულად გასაუბრებენ და საუბარში ერთვებიან. მათი სწავლის, მიღწეული წარმატებების, მიღწევებისა თუ სიძნელეების შესახებ ვესაუბრეთ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს,

პროფესორ სოფო ბერიძეს, ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, კოორდინატორს უცხოელ სტუდენტებთან მუშაობის დარგში — სოფიკო ცეციტინიძეს, ქართული ენის მასწავლებელს, ასისტენტ პროფესორ — მზია ხახუტაიშვილს, და თავად, უცხოელ სტუდენტებს — აშიმ გულიას, რაულ სეერეის, ბჰარატ რაჯპუროჰიტს და რავი კუმარს.

გაზული ღუმალი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

„მადლობა უფალს ამ წყალობისთვის“



აშიმ გულია. „სანამ დავიწყებ საუბარს ჩემი საოცარი გამოცდილების შესახებ ბათუმში, უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი პირველი ლამაზი მოგონება საბედნიეროდ, უკავშირდება უნივერსიტეტის არჩევას და მადლობა უფალს ამ წყალობისთვის, რომ მოხვდი ბათუმის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტი მდებარეობს უცხოელებისათვის არც თუ კარგად ცნობილ, პოპულარულ ქალაქში, მაგრამ მდებარეობს უამრავი ბუნებრივი რესურსით მდიდარ, ულამაზეს სანაპიროსთან და ეს საოცარ ბედნიერებას მანიჭებს.“

სიტყვით ჩამოვედი, რათა პირველ რიგში ჩემი ბავშვობის ბავშვობის ოცნება ავიხსენებ — გავხდე ექიმი. ეს უნივერსიტეტი გამორჩეულია კავკასიონის რეგიონის უნივერსიტეტებს შორის თავისი ზღაპრული ადგილმდებარეობით, გარდა ამისა, მას გააჩნია მრავალი კლინიკური ბაზა, სადაც თეორიულ სწავლასთან ერთად შეგიძლია კარგი სამედიცინო პრაქტიკის მიღება.

მეამაყება, რომ აქ, ბათუმში ვსწავლობ. ქალაქი სუფთაა, დაცული და საოცრად ლამაზი, გამორჩეული თანამედროვე და ლამაზი


ნაღიზე, რომ ნამდვილად კარგი არჩევანი გააკეთე, როდესაც ავირჩიე საქართველო და კერძოდ, კი — ბათუმი, სადაც ყველა პირობა იმისათვის, რომ კარგი მომავალი შევიქმნათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველი ხალხის თბილი დამოკიდებულება. ყველა ადამიანი, ვისაც მე ვხვდები უნივერსიტეტში თუ მის გარეთ, თავაზიანი, ზრდილი და მეგობრული ბუნებისაა, რის წყალობითაც უკვე თავს არ ვგრძნობ უცხოელ. ქართველთა ურთიერთობის, კომუნიკაციის გზები, აქაური თვალწარტყატი ბუნება, აქ შექმნილი გარემო, მეხმარება უძველესი ენის — ქართულის შესწავლაში.

განსაკუთრებით გემრიელია და არასდროს დამავიწყდება ხაჭაპურის გემო. უკვე მენატრება თოვლიანი ბათუმის ხილვა. ულამაზესი ქალაქი და თოვლით ისეთი სილამაზე იქმნებოდა, თითქოს ქალაქს თეთრი ზენარი გადააფარეს.

აქ მიღებული გამოცდილება ჩემს შემდგომ ცხოვრებაში არასდროს დამავიწყდება.

საქართველო მართლაც ზღაპრულია.

ძალიან მომწონს, მიყვარს საქართველო და ქართველი ხალხი.“



რაულ სეერეი. საქართველო სამოთხეა „მე აქ ჩამოვედი უმაღლესი განათლების მისაღებად. რთულია დატოვო სახლი და წამოხვიდე უცხო ქვეყანაში. თავიდან ვერცხვობდი, თუ რა უნდა მეკეთებინა საქართველოში, როგორ ვიგნობდი თავს უცხო ადგილას სახლიდან მოს. როცა აქ ჩამოვედი, ბათუმის სილამაზით გაოცებული ვიყავი. მალე გათოვდა კიდევ და მხოლოდ თოვლის თეთრ სქელ ფენას ვხედავდით ირგვლივ. ჩემთვის ეს სულისშემკვრელი სანახაობა იყო. საქართველო გამორჩეულია თავისი ლანდშაფტით, სანაპიროებით, ირგვლივ დაბურული ტყეებით და კარგი ხალხით. ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის აქ ყოფნა.“

საქართველოს აქვს უნიკალური და ანტიკური კულტურული მემკვიდრეობა, ცნობილი ტრადიციები, სტუმართმოყვარეობა და ქართული სამზარეულო. ქართველები თავაზიანები, ზრდილობიანი და მეგობრულები არიან. მე ვენიჭებ უმრავლესს საქართველოში და ყველა ადგილს ლამაზი და სენსაციურია.

მე დალოცვილი ვარ, რადგან ბათუმში ვარ. ბედნიერი ვიქნები, თუ გავხვდები ამ კულტურული ქვეყნის ნაწილი და ვიქნები ამ სილამაზით შთაგონებული.“



რაჰი კუმარ. „საქართველო ნამდვილად, სიყვარულისა და ერთობის ქვეყანაა.“

მე დღესაც ვიხსენებ, აქ წამოსვლამდე რამდენი შეკითხვა დაქროდა ჩემს გონებაში. ვფიქრობდი, თუ როგორ მოვხვდებოდი საქართველოში, კერძოდ, კი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. განვიცდიდი აქაური კლიმატის, ოჯახთან დაშორების, ქართველ ხალხთან ურთიერთობის შესახებ, რომელთა ენაც არ ვიცოდი.

როდესაც პირველად შემოვედი ფეხი ამ ულამაზეს ქალაქში, გავა-



ინდოელი სტუდენტები და ქართული ენა



„ინდოელი სტუდენტებთან საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი სავალდებულო სასწავლო კურსი „ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები“. აქ საკონტაქტო საათები ეთმობა მხოლოდ ჯგუფში მუშაობას. კურსი ითვალისწინებს ქართულის ენის იმგვარ ცოდნას, რომ უცხოელმა სტუდენტებმა შეძლონ ქართულ ენაზე წერა და მითხრობა.“

უნიკალური ქართული ანბანი, ქართული ენის თავისებური მექანიზმი, ქართული ზმნა — ეს ის სიძნელეებია, რომლებსაც ხსენებული ენის შესწავლელი ხშირად აწყდება ხოლმე. მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდნენ ინდოელი სტუდენტებიც. მიუხედავად იმისა, რომ მათ განსაკუთრებით უჭირთ სპეციფიკური ქართული ბგერების წარმოქმნა, ისინი დიდი გულმოდგინებით ცდილობენ, დაძლიონ სირთულე. მათ მასალა იმგვარად მიეწოდებათ, რომ გაუადვილდეთ და ძალიან მალე მიეცეთ შესაძლებლობა, ქართულად ამტყვევდნენ.

ინდოელ სტუდენტებს იმთავითვე სტიმული მიეცათ ქართული ასოების მოხაზულობის გამო: სწორი მიმართულებით წერა, ოთხხაზოვანი სისტემის დაცვა, თითოეული ასოს მოხაზულობა საფეხურებრივად მიენიჭებათ ენის შემსწავლელთ.

აღსანიშნავია, რომ ინდოელი სტუდენტები იწყებენ ნულოვანი დონიდან, ისინი ძალიან მოტივირებული არიან. თითოეული შეხვედრაზე სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში, რაც მათ უყალიბებს კომუნიკაციის უნარს, გამოიმუშავებს ქართული ენის პრაქტიკული გამოყენების ელემენტარულ უნარებს.

დღემდე ქართული ენის შესასწავლი არაერთი სახელმძღვანელო გამოიცა, მათ შორის ჩვენს უნივერსიტეტშიც. სასწავლო მასალა არის მრავალფეროვანი და დადებითად მოქმედებს სწავლების ხარისხზე. ჩვენ ვცდილობთ თითქმის ყველა ადაპტირებული სახელმძღვანელოს სინთეზურ გამოყენებასა და ჩართვას სასწავლო პროცესში. ამ ტიპის სახელმძღვანელოებში მოცემულია თეორიული კურსი და პრაქტიკული დავალებები, აქტიურად ვიყენებთ სავარჯიშოების რეველსა და აუდიო თუ ფოტომასალას, საკითხავ ლიტერატურას. აუდიო მასალის დახმარებით შემსწავლელი მუშაობს ამა თუ იმ მარცვლის, სიტყვის და შემდგომ წინადადების სწორად წარმოქმნაზე. ამდენად, ამ რესურსის გამოყენება სასწავლო პროცესში მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა.

თითოეული ახალი თემა ახალი ლექსიკური ერთეულებით მდიდრდება, ყოველ ახალ თემას გრამატიკის ახალი საკითხებიც უკავშირდება იმისთვის, რომ თუნდაც ურთულესი ქართული ზმნის უღლება გარკვეულწილად გააცნობიეროს, მათი ფუნქცია და სემანტიკა კი, მარტივ კონსტრუქციაში გააანალიზოს. ზოგჯერ აქტიურ სტუდენტთა ნაწილს სურს, მეტი გაიგოს შესასწავლი ენის გრამატიკული სისტემის შესახებ (სისტემის აღქმა ეხმარება კიდევ სწავლის პროცესში) და ისინი სვამენ კითხვებს. ყოველ ახალ შეხვედრაზე ასევე შემოგვაქვს საჭირო ფრაზები. ამდენად სწავლების ამგვარი სინთეზი ძალიან მნიშვნელოვანია უცხო ენის შემსწავლელთათვის.

თითოეული შეხვედრა ასევე გულისხმობს ენის სწავლების ყველა ნიუანსს. წერით კომპეტენციას, ზეპირი კომუნიკაციის ასპექტებს, კითხვის სტრატეგიებს, ასევე ქართულ ენაზე მარტივი ფრაზებით სათქმელის ლოგიკურად გამართვასა და ჩამოყალიბებას.

სტუდენტებს ძალიან მოსწონთ საკითხავი ლიტერატურა, რომელიც ენის ფლობის დონეების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი. არაქართულენოვანთათვის ეს მასალა არის მრავალმხრივ საინტერესო და ინფორმაციული. სტუდენტებს აქვთ საშუალება, ნაიკითხონ მათთვის საინტერესო ტექსტი და თან მოუსმინონ აუდიომასალას. მრავალფეროვანი ტექსტები საინტერესოს და სასიამოვნოს ხდის თითოეულ საგაკვეთილო პროცესს და მეტად ზრდის სტუდენტთა მოტივაციას.

სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ინდოელ სტუდენტებთან მუშაობამ ნაყოფი გამოიღო. მათ ჩვეული გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით მოახერხეს სირთულეების დაძლევა. ამჯერად, სტუდენტებს შეუძლიათ სათქმელის მარტივი ფრაზებით, ლოგიკურად გამართვა, ჩამოყალიბება და ზეპირად გადმოცემა, ყოველდღიურ ყოფით თემებზე საუბარი, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა. ქართული წერილობითი ტექსტების ნაკითხვა, გაგება.“

ბჰარატ რაჯპუროჰიტი. „სიამოვნებით ვაგიზიარებ ჩემს გამოცდილებას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ. ინდოეთიდან ბათუმის უნივერ-

მზია ხახუტაიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტენტ პროფესორი

„პოზიტიუმი, ღიმილიანები, დაუზარებლები...“

როდესაც უცხოელი სტუდენტების მიღება გადაწყდა და მათი კოორდინატორობა დამეგალა, ყველაფერი ეს ძალიან მალევე დადგა. როგორ შეიძლება დასრულებულიყო ყველაფერი? როგორ შეეგუებოდნენ ახალ გარემოს და როგორ მიიღებდა გარემო მათ? საბედნიეროდ, ყველაფერი ძალიან კარგად აეწყო და გრძელდება. დღეს უკვე ვეღარ წარმოვიდგინა ჩემი სამუშაო დღე მათ გარეშე.

უცხოელ სტუდენტებთან ურთიერთობა ჩემთვის, როგორც კოორდინატორისთვის, ყოველდღიური სტიმულია და, როგორც ლექტორისთვის, საუკეთესო მოტივაცია თვითგანვითარებისთვის. გასაცხადია მათი განსაკუთრებული ინტერესი და სწრაფვა სწავლის მიმართ, მათი შრომისმოყვარეობა. ნებისმიერი სახის დავალებას, ეს იქნება სწავლასთან თუ სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებული, მთელი გულით და ერთუზიანებით ეკიდებიან. არიან ძალიან პოზიტიურები, ღიმილიანები, დაუზარებლები და დადებითი ენერჯით სავსე. საოცარი თანადგომის უნარი აქვთ ერთმანეთის მიმართ. მიუხედავად იმისა, მეგობრობენ თუ არა, როცა ერთისთვის რაიმე გაუგებარი რჩება, მაქ-




სიმალურად ცდილობენ აუხსნან, დაეხმარონ, უგულუმემატიკოვრონ. არიან კარგად აღზრდილები, რაც ამკარად ჩანს მათ დამოკიდებულებაში და პატივისცემაში სხვების, განსაკუთრებით კი, უფროსი თაობის მიმართ. ძალიან მოსწონთ ქართული სტუმართმოყვარეობა, ჩვენი დამოკიდებულება უცხოელების მიმართ, რაც ბევრჯერ აღუნიშნავთ და ცდილობენ გაგვაცნონ მეტი, მათი ტრადიციების შესახებაც. ძალიან უხარიათ ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობა. როგორც კი ახალ მეგობარს შეიძენენ, სიხარულით მიიღებენ და



ყვებიან დამეგობრების ამბებს ან კიდევ ჩვენი ტრადიციების აღმოჩენის შესახებ. მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, საკმაოდ ბევრი ქართველი მეგობარი ჰყავთ და ეს ძალიან მიხარია. ვფიქრობ, კომუნიკაცია როგორც ქართველი, ასევე ინდოელი სტუდენტებისათვის, მნიშვნელოვანია და ორთავე მხარეს საშუალებას აძლევს, პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ ენის დახვეწის მხრივ. იმედი მაქვს, ძალიან მალე მათი მეგობრების წრე თანდათან უფრო გაფართოვდება და გაღრმავდება. მომავლისათვის უამრავი ერთობლივი ღონისძიება

იგეგმება, რაც მათი ინტეგრაციისთვის საუკეთესო საფუძველი იქნება. ჩემი სურვილია კიდევ ბევრი უცხოელი სტუდენტი გვეყოლოს, რაც საუკეთესო გზა იქნება როგორც უნივერსიტეტის, ისე ქვეყნის ცნობადობის გაზრდისთვის”.
სოფიო ცაქვიტინიკა
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, კოორდინატორი უცხოელ სტუდენტებთან მუშაობის დარგში



ზღვის ტალღების ხმით შეზავებული სტუდენტური ცხოვრება

„ყველაფერი ერთი პროგრესული ადამიანის პროგრესული ხედვით დაიწყო, რომელსაც ბოლომდე ჰქონდა გააზრებული უნივერსიტეტის მთავარი მისია — სწრაფვა ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისაკენ. შესაბამისად, ყოფილ რექტორთან, პროფესორ ალექს ბაკურიძესთან ინდოელი სტუდენტების ჩამოყვანის შემოთავაზებით მოსულმა მხარემ, მიმღებლობისა და სანდოობის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, საქართველოს ბევრ ცნობილ უნივერსიტეტებს შორის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აირჩია. შემდეგ იყო სამსლიანი მოსამზადებელი პერიოდი, პროგრამის მზადება აკრედიტაცი-

ისათვის, ბევრი შრომა, ცოტა იმედგაცრუება, შესაშური გუნდური მუშაობა, საუნივერსიტეტო მენეჯმენტის საუკეთესო მაგალითი და... გამარჯვება! — 2015-2016 სასწავლო წელს ჩვენმა უნივერსიტეტმა ინდოელი სტუდენტის პირველი ნაკადი — 37 სტუდენტი მიიღო. ეს იყო დიდი გამონეგვა... არა იმიტომ, რომ ბათუმის უნივერსიტეტისათვის უცხოა საერთაშორისო პროექტები და სტუდენტთა და პედაგოგთა მობილობა, პირიქით, ჩვენ გაცვლითი პროგრამების პროცენტული მაჩვენებლით ერთ-ერთ ნამყვან პოზიციაზე ვართ. არა, ეს პროექტი გახლდათ ახალი სიტყვა, რადგან თითოეულ უნივერსიტეტულს სიამაყით გვაგვსებს, როცა 5000 — ზე მეტი კილომეტრით დაშორე-

ბული ქვეყნიდან არჩევანი სწორედ ჩვენზე კეთდება; რაც ნიშნავს, რომ ერთი მხრივ, უნივერსიტეტი ჩაერთო საერთაშორისო სამედიცინო განათლების ერთიან სივრცეში, მეორე მხრივ, პროგრამის რენტაბელობის გათვალისწინებით, შეძლებს გააძლიეროს და განავითაროს ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არამხოლოდ ინგლისურენოვანი, არამედ უპირველეს ყოვლისა, ქართული სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის; რეგიონი მიიღებს რამოდენიმე წელზე გათვლილ პერმანენტულ ვიზიტორს, მოხდება პროფესორ-მასწავლებლების მუდმივი გადამზადება და მომზადება ინგლისურენოვანი



სწავლების შესაბამისობასთან მოყვანისათვის, რაც ამავე კადრებს მისცემს შესაძლებლობას ინგლისური სწავლების და სამედიცინო განათლების უნარ-ჩვევები მოახმარონ ასევე, საკუთარ პროფესიულ განვითარებასა და სამეცნიერო მოღვაწეობას. რას ფიქრობენ თავად სტუდენტები?! ისინი, მსოფლიოს ყველა პირველკურსელი მედიკოსი სტუდენტის მსგავსად თეორი ხალათისა და პაციენტის სანოლის მოლოდინში აღებენ აუდიტორიის კარებს და იქ ხედებათ ქიმიკა, ფიზიკა, ანატომია... და ცოტა ხნით, სულ ცოტა ანის იონები გულის მუშაობასთან; თუმცა პროგრამის ინტეგრირებული სტრუქტურის წყალობით სულ

მალე ხედავენ და გრძნობენ კორეციას საბაზისო და კლინიკურ მედიცინას შორის, იწყებენ ახალ ეტაპს თავიანთ ცხოვრებაში — ცოტა შიშით, ბევრი სიახლით, ლამაზი სანაპიროთი და ზღვის ტალღების ხმით შეზავებული სტუდენტური ყოფით ტკბებიან და იზრდებიან, ვითარდებიან — მათ ხომ სამშობლოში მშობლები, ოჯახის წევრები, მომავალი პაციენტები ელოდებიან და გააზრებული აქვთ ვალდებულება, რომ თავიანთ სამშობლოში ერთერთი ყველაზე დაფასებული და მაღალანაზღაურებადი პროფესიის დიპლომით და ადეკვატური ცოდნით დაბრუნდნენ”.
სოფო ბერიკა
პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი



ნოდარ ბარამიძე – 70



კითხულობდა ლექციებს თბილისის პუშკინის სახელობისა და ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში (ახლანდელ უნივერსიტეტებში).

1980 წლიდან სამუშაოდ გადმოვიდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ჯერ მუშაობდა პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრაზე დოცენტად. 1990 წლიდან 2005 წლამდე ხელმძღვანელობდაამავე უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრას. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის დეპარტამენტს, რომლის ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობა საგანგებოდ აღინიშნა და 2006 წელს დაჯილდოვდა დიმიტრი უზნაძის საიუბილეო მედლით. ბატონი ნოდარი აქტიურად იყო ჩართული უნივერსიტეტის ადმინისტრირებაში, გახლდათ რექტორის მოადგილე.

1995 წელს ნოდარ ბარამიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1996 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1997 წელს არჩეულ იქნა საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. ის გახლავს ავტორი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომელიც დასრულდა და სწავლა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. ამავე პერიოდში მოიხადა საგანგებოდ სამხედრო სამსახური. 1973 წლიდან მუშაობდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად.

ნ.ბარამიძემ 1975 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1976-1980 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ახლადჩამოყალიბებულ პედაგოგიური ფსიქოლოგიის ქუთაისის ლაბორატორიას. სამეცნიერო კვლევით მუშაობასთან ერთად

თრებულ ყურადღებას ბათუმის ფსიქოლოგიური სკოლის, მისი სამეცნიერო პოტენციალის გაზრდას უთმობდა. მისი უშუალო ძალისხმევით არაერთმა ახალგაზრდამ ნარმატებით დაიცვა სამეცნიერო დისერტაცია ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგში, აიმაღლა კვალიფიკაცია, ბატონი ნოდარი უშუალოდ ზრუნავდა თითოეული კოლეგის პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე. ამ გზას დღეს სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის წევრები, პრაქტიკოსი ფსიქოლოგები ნარმატებით აგრძელებენ. ისინი აქტიურ სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო გრანტის განხორციელებაში, რეგულარულად ესწრებიან ფსიქოლოგიური შინაარსის ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს, რაც ხელს უწყობს მათი კვალიფიკაციის ზრდას.

ბატონი ნოდარი მრავალმხრივი მკვლევარია, თუმცა შორეული მოტივაციური ქცევის საკითხებს ცენტრალური ადგილი უკავია მის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. ამ პრობლემაზე მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიული ექსპერიმენტული გამოკვლევა. შეიძლება ითქვას, რომ იგი ფაქტობრივად შორეული მოტივაციის პრობლემის ერთადერთი მკვლევარია, რასაც ადასტურებს ამ კვლევების მიმართ არსებული ინტერესი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის განეული ამავისათვის 2013 წელს ნოდარ ბარამიძეს ემერიტუს-პროფესორის საპატიო წოდება მიენიჭა. ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ბატონი ნოდარი დაჯილდოებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელებით, იაკობ გოგებაშვილის

სახელობის მედლითა და ღირსების ორდენით.

ნოდარ ბარამიძის მშობლიური ფსიქოლოგიის კათედრის მემკვიდრე, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, აგრძელებს პროფესორ ნოდარ ბარამიძის ნაშრომებზე საქმეებს. რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტში აღზრდილი ფსიქოლოგები დასაქმებული არიან სკოლებში, სკოლამდელ დაწესებულებებში, პროფესიულ სასწავლებლებში, ფსიქო-სარეაბილიტაციო ცენტრებში, დღის ცენტრებში, არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებში, სამედიცინო დაწესებულებებსა და კლინიკებში. გაიზარდა თავად სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესიული შემადგენლობა. საზოგადოების დაკვირვება და მოთხოვნის გათვალისწინებით უნივერსიტეტმა ხელი შეუწყო პრაქტიკული და გამოყენებითი ფსიქოლოგიის განვითარებას, გაიხსნა ფსიქოლოგიის ლაბორატორია და საუნივერსიტეტო კლინიკა.

ბატონი ნოდარ, გილოცავთ 70 წლის იუბილეს. ეს ის ასაკია, როცა შეგიძლიათ შეაფასოთ თქვენი განვლილი ცხოვრების გზა და იამაყოთ წარსულით, რომელიც მომავალი თაობების აღზრდას უკავშირდება. მიუხედავად ასაკისა, თქვენ ისევე მხნედ გამოიყურებით, როგორც მრავალი წლის წინ. გვინდა გისურვოთ ჯანის სიმრთელე, დღეგრძელობა და კიდევ მრავალი წელი გელვანოთ ჩვენი ქვეყნის, კუთხისა და მშობლიური უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლის, აკადემიური და ნარმომადგენლობითი საბჭოს სახელით, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ ხალვაში

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ემერიტუს-პროფესორს, მომავალი თაობების ღირსეულ აღმზრდელს, ნოდარ ბარამიძეს 70 წელი შეუსრულდა. მისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკავშირდება. ბატონი ნოდარის მეცნიერულმა კვლევებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში. არაერთმა თაობამ გამოიარა მისი პედაგოგიური სკოლა და პროფესიონალიზმის დასტური გახლავთ ის, რომ თითოეულ მათგანს დღესაც ახსოვს მის მიერ ჩატარებული თითოეული ლექცია.

ბატონი ნოდარი დაიბადა 1946 წელს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოში. 1964 წელს წარჩინებით, ოქროს მედალზე დაამთავრა გონიოს საშუალო სკოლა და

ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით 1969 წელს ასევე წარჩინებით დაასრულა და სწავლა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. ამავე პერიოდში მოიხადა საგანგებოდ სამხედრო სამსახური. 1973 წლიდან მუშაობდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად.

ნ.ბარამიძემ 1975 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1976-1980 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ახლადჩამოყალიბებულ პედაგოგიური ფსიქოლოგიის ქუთაისის ლაბორატორიას. სამეცნიერო კვლევით მუშაობასთან ერთად

ბატონო ნოდარ!

საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაცია გილოცავთ თქვენ, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორს, ცნობილ ფსიქოლოგსა და პედაგოგს, დაბადებიდან 70-ე წლისთავს.

თქვენ საკმაო ხნის განმავლობაში ნარმატებით საქმიანობდით თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. აქ დაამთავრეთ ასპირანტურა, დაიცავით დისერტაცია და იყავით თანამშრომელი პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილებისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა თქვენი სათაყვანებელი მასწავლებელი, პროფ. შალვა ჩხარტიშვილი. შემდეგ სათავეში ჩაუდგით ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ახლად შექმნილ ქუთაისის ლაბორატორიას და ასევე ნარმატებით განაგრძეთ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

1980 წლიდან თქვენ ძალზე ნაყოფიერად მოღვაწეობთ ბათუმში. დაარსეთ და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდით ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრას, შემდეგ — პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის დეპარტამენტს, იყავით უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში. თქვენი მეცადინეობით აქ ჩამოყალიბდა მაღალკვალიფიციური ფსიქოლოგების კოლექტივი, რომელიც მეტად საჭირო მუშაობას ეწევა რეგიონში.

თქვენ ყოველთვის ნარმატებით უთავსებდით ერთმანეთს საორგანიზაციო საქმიანობას (სანიმუშაო თქვენი თაოსნობით ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციები), პედაგოგიურ მოღვაწეობასა და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას (სისტემატურად აქვეყნებთ წერილებსა და მონოგრაფიებს).

ალსანიშნავია, რომ თქვენ ფაქტობრივად ხართ შორეული მოტივაციის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის ერთადერთი (და ცნობილი) მკვლევარი და მსყობრი შეხედულების ავტორი. ექსპერიმენტულ შრომებთან ერთად, ძალიან საყურადღებოა თქვენი თეორიული ხასიათის ნაშრომებიც, განსაკუთრებით ბოლოდროინდელი გამოკვლევები ნებისყოფის ფსიქოლოგიაში, რომელმაც ერთობ საინტერესო პოლემიკა გამოიწვია და რომელიც ურთულესი საკითხების დრამა მეცნიერული ანალიზისა და პრობლემის ახლებურად გააზრების ნიშნად გვესახება.

1997 წლიდან თქვენ ხართ საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. პედაგოგიურ დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაჯილდოებული ბრძანდებით იაკობ გოგებაშვილის მედლით. ფსიქოლოგიის სფეროში მიღწეული ნარმატებებისათვის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრამ (დეპარტამენტმა) და პირადად თქვენმა მრავალწლიანმა შემოქმედებითმა მუშაობამ დამსახურა დიმიტრი უზნაძის საიუბილეო მედალი. თქვენ ბრძანდებით ღირსების ორდენის ღირსეული კავალერი.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემდგომ ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი მეცნიერებისა და მომავალი თაობის სასიკეთოდ!

საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ირაპკლი იმედაძე

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი ულოცავს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ემერიტუს-პროფესორს, ბატონ ნოდარ ბარამიძეს დაბადებიდან 70 წლის იუბილეს

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის კათედრის ფუძემდებელს, სამეცნიერო მუშაობის, კადრების შერჩევისა და მათი განვითარებისათვის მხარდამჭერს, ფსიქოლოგიური სემინარებისა და შეხვედრების, კონფერენციებისა და სესიების ორგანიზატორს, ფსიქოლოგიის დარგში ყოველწლიური კრებულის გამომცემის იდეისა და განხორციელების ავტორს, ბატონ ნოდარ ბარამიძეს ვულოცავთ დაბადებიდან 70 წლის იუბილეს.

ფსიქოლოგიის კათედრის ამჟამინდელი მემკვიდრე — სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი აგრძელებს თქვენ მიერ ნაშრომებზე საქმეებს, რომლებიც განხორციელდა ფსიქოლოგიის ბაკალავრიატისა და კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგის დამუშავებით, ათვისებით და მრავალი ჩვენთან აღზრდილი ფსიქოლოგის დასაქმებით. გაფართოვდა დეპარტამენტის შემადგენლობა, ცალკე გამოიყო ფსიქოლოგიის ლაბორატორია, გაიხსნა ფსიქოლოგიის საუნივერსიტეტო კლინიკა, რომელიც ითვალისწინებს „სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარებისა და რეაბილიტაციის“ მოკვლევიანი პროგრამის მსმენელებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემუშავებას. ამასთანავე, არსებულ კლინიკაში დაიწყო ფსიქიკური განვითარების დარღვევების მქონე ბავშვებისა და მოზარდების მომსახურება. პარალელურად, ანალოგიური მოკვლევიანი პროგრამის საფუძველზე ხორციელდება ფსიქოთერაპიული ინტერვენცია და ამავე დროს იგეგმება კლინიკური ფსიქოლოგიის საფუძვლებზე შესწავლა და შესაბამისი ტრენინგების ჩატარება. რა თქმა უნდა რთული იყო ამ გზის გავლა, მაგრამ ფსიქოლოგიის კათედრის ტრადიციული სულისკვეთებით შესაძლებელი გახდა სირთულეების დაძლევა. ზემოაღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ ჩვენი სტუდენტები და კურსდამთავრებულები სხვადასხვა ღონისძიებების, სესიების, სამუშაო შეხვედრებისა თუ ვორკშოპების დროს გამოიჩინებენ ფსიქოლოგიის მეცნიერებაში ცოდნით, ინტერესითა და შემოქმედებითი მიდგომებით. რასაც აღნიშნავენ სხვადასხვა სასწავლო და აღმზრდელი მიმართული დაწესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ნარმომადგენლები.

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის მთელი შემადგენლობა კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ 70 წლის იუბილეს, გისურვებთ ფსიქოლოგიის მიმართული შემოქმედებით ნინსვლას, საინტერესო ნაშრომების ავტორობას, ახალი იდეების შემოთავაზებასა და ერთობლივად განხორციელებას.

ქეთევან ბერიძე, გურამ ჩაბანავა



პრინციპების ერთგული მეცნიერი და პედაგოგი ნოდარ ბარამიძე — 70

ფესვრია. ამ ხნის განმავლობაში ნ. ბარამიძემ არაერთი თაობა აღზარდა და დიდი სიყვარული დაიმსახურა როგორც პროფესორ-მასწავლებლის, ისე სტუდენტების მხრიდან.

თავისი მოღვაწეობის გზაზე ნ. ბარამიძეს ერთი მხრივ უკვე განთქმული და ჩამოყალიბებული გარემო ხვდებოდა /თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი/ და მეორე მხრივ თვითონ ქმნიდა სახელმწიფო და პედაგოგიურ გარემოს /ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პედაგოგიური ფსიქოლოგიის ლაბორატორია ქუთაისში და ფსიქოლოგიის დამოუკიდებელი კათედრა ბათუმის უნივერსიტეტში/.

ყველაზე, სადაც კი ყოფილა ნ. ბარამიძე, თავი გამოიჩინა, როგორც მიზანდასახულმა, კეთილშობილმა და პრინციპულმა პროფესორმა. ამის უამრავი მაგალითია. სანამ უშოდ მის ერთ გამოსვლას მოელოდა ჩვენი ქვეყნის გარეთ. 1992 წელს იგი მონაწილეობდა მნიშვნელოვან სამეცნიერო ფორუმში თურქეთის ქალაქ სამსუში. ერთ, კონგრესის მონაწილე პროფესორს თავის გამოსვლაში საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები მოხარული კვრცხისთვის შეუდარებია. ქვეტექსტი გასაგებია — მათ რომავალი არ აქვთ.

ბატონ ნოდარს მაშინვე სიტყვა უთხოვია და თავის გამოსვლაში პროფესორის სიტყვებიდან ქვა ქვაზე არ დაუტოვებია. აი მისი გამოსვლის ტექსტი: „მე არ ვიცი საბჭოურმა სისტემამ რომელი კვრცხი რამდენად მოხარმა, მაგრამ ის კი შემძლია განვაცხადო, რომ თქვენს მიერ ქართულ კვრცხად წოდებული ქართული სული არც მანამდე და არც სოციალისტური იმპერიის პერიოდში არ მოხარმულა და არც მოქვედნებულა. ჩვენ დარწმუნებული ვართ ქართული კვრცხიდან თავის დროზე ჯანსაღი წინილა გამოიჩეკება, ასეთია ქართული გენეტიკური კოდი, რაც ისტორიას არაერთხელ დაუდასტურებია“. ამ საკამოდ მკაცრ გამოსვლას დარბაზის ოვაცია გამოუწვევია.

ნ. ბარამიძე თანაბარძალოვნად იღვწოდა როგორც პედაგოგიურ, ისე სამეცნიერო სარბიერზე. ის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მკვლევარია, რასაც ადასტურებს მის მიერ გამოქვეყნებული 11 წიგნი და 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორისაა როგორც ექსპერიმენტული, ისე თეორიული ხასიათის გამოკვლევები. მაგრამ მის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ცენტრალური ადგილი უკავია შორეული მოტივაციური ქცევისა და სწავლის პრობლემას. აღსანიშნავია, რომ იგი დღეს შორეული მოტივაციის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის ერთადერთი (და ცნობილი) მკვლევარია. ბუნებრივია, საგანგებო წესით მსხლია მისი სამეცნიერო შრომების სრული ანალიზი, მაგრამ აუცილებელია შეგჩერდეთ ძირითადზე.

ნ. ბარამიძემ დაამუშავა შორეული მოტივაციური ქცევის შესწავლის მრავალფერაინტული ექსპერიმენტული მეთოდიკა, რომელსაც წარმატებით იყენებენ თავიანთ ნაშრომებში როგორც სტუდენტები, ისე მეცნიერ-მუშაკებიც. ამ მეთოდის გამოყენებით მან სისტემატიური სახით შეისწავლა აღნიშნული ქცევის ფსიქოლოგიური და ასაკობრივი თავისებურებები. დასაბუთა, რომ შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ქცევა არსებითად ემყარება ნებისყოფას, რომლის განვითარების დონეც განსაზღვრავს ძირითადად მისი განხორციელების შესაძლებლობებსაც. ეს ქცევა თავისი ბუნებით აქტივობის ერთ-ერთი ურთულესი და უმაღლესი ფორმაა, რომელიც ადამიანის, როგორც პროფესიის, განსაკუთრებით დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს. ამ ქცევის სუბიექტი ყოველთვის მისი ახლანდელი მდგომარეობისგან დამოუკიდებელი, მეტ — ნაკლებად შორეული მიზნებითა და მოტივებით, ობიექტური და საზოგადოებრივი ღირებულებებით ხელმძღვანელობს. იგი ამაჟამად ისეთ მოქმედებებს ასრულებს, რომლის შედეგიც მიმართულია არა ანმყოფ აქტუალური დანაკლისის შექმნისაკენ, არამედ იმთავითვე გათვალისწინებულია როგორც ქცევის სუბიექტის მომავლისათვის, ისე სხვა ადამიანების, საზოგადოების ინტერესებისთვისაც.

ნ. ბარამიძე ასაბუთებს, რომ სწავლა, როგორც მოსწავლის ქცევის ძირითადი ფორმა, განვითარებული შრომის სახესხვაობაა. იგი სოციალურად დეტერმინირებული აქტივობაა და თავისი ბუნებით შორეული მოტივაციური

ქცევაა. სწავლა, როგორც დამოუკიდებელი ქცევა, მოსწავლის მიერ განიცდება არა მისი ანმყოფ მდგომარეობის, ახლანდელი შემეცნებითი მოთხოვნების, ე.წ. წინდა „მე მინდა“ და „მე მინდა“ დაკმაყოფილებისასაშუალება, არამედ სავალდებულო რამე, „მე უნდა“ მოტივაციური ფაქტორით აღძრული აქტივობა, რომელსაც შედეგად უნდა მოყვეს მისი ახლანდელი მდგომარეობისგან დამოუკიდებელი (ობიექტური) ღირებულების შექმნა — ცოდნა-ჩვევის შექმნა. სწავლა, ისევე როგორც შრომა, შედეგზე ორიენტირებული აქტივობაა და სწავლის დროს განცდილი სიამოვნებისა თუ უსიამოვნების გრძნობები მხოლოდ თანმხლები პროცესუალური მოვლენებია, როგორც ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს შრომის შემთხვევაშიც. ნ. ბარამიძის შეხედულების მიხედვით, სწავლა არსებითად შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებისმიერი ქცევაა.

აღსანიშნავია, რომ შორეული მოტივაციისა და სწავლის პრობლემებისადმი მიძღვნილ სადოქტორო ნაშრომს ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა შოთა ნადირაშვილმა ასეთი მაღალი შეფასება მისცა: „შორეული მოტივაციური ქცევის თავისებურებების და სწავლის ფსიქოლოგიური ბუნების ასეთი გაგება ახალი ეტაპია პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში და ფართო პერსპექტივებს შლის ამ მიმართებით მუშაობისთვის“.

ნ. ბარამიძემ განწყობისა და შორეული მოტივაციური ქცევის მიმართების შესწავლის საფუძველზე ნათლად აჩვენა განწყობის ჩხარტივილისეული დინამიკური მოდელის მართებულობა. მისი აზრით, ჩვენ ვერ მივიღებთ თეზისს შორეული მოტივაციური ქცევის განწყობით განსაზღვრულობის შესახებ (ქცევისა, რომელიც შეიძლება დროში ფართოდ გაშლილ, ერთმანეთისადმი დაქვემდებარებულ მოქმედებათა მთელ სისტემას შეიცავდეს), თუ ვიდგებთ განწყობის სტრუქტურის თავიანთი დამკვიდრებული სტატიკური მოდელის პოზიციებზე და არ ვაღიარებთ განწყობის სტრუქტურის ცვალებადობის შესაძლებლობას ქცევის მიმდინარეობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან თავიანთი შექმნილ და უცვლელ განწყობაში პრინციპულად შეუძლებელია აისახოს ყველაფერი ის, რაც უშუალოდ ქცევის პრაქტიკული მიმდინარეობის დროს იჩენს ხოლმე თავს.

მეტად საყურადღებოა ნ. ბარამიძის გამოკვლევები აქსელერაციის პრობლემასთან დაკავშირებით. მკვლევარმა 35 წლიანი ინტერვალის შემდეგ გაიმეორა თავისი ადრინდელი ექსპერიმენტები და კვლავ შეისწავლა შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებისყოფითი ქცევის შესაძლებლობანი 4-დან 7 წლამდე ასაკში. მან დაადგინა, რომ დღევანდელი ბავშვები უფრო ახლი ობიექტივობით გახდნენ. აქსელერაცია არათუ არ შეეხო შორეული მოტივაციური ქცევის განხორციელების შესაძლებლობებს, არამედ, პირიქით, ასეთი ქცევის უნარი უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე შესამჩნევად შემცირდა. დღეს უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მოთხოვნილების სუბიექტის ფორმირებისთვის და გაცილებით არახელსაყრელი — პიროვნების, ნებისყოფის სუბიექტების ფორმირება-ჩამოყალიბებისთვის.

თუ აქამდე ცნობილი იყო, რომ აქსელერაცია შეეხო მოზარდების ინტელექტუალური, ფიზიკური და ბიოლოგიური განვითარების სფეროებს, ხოლო ნებისყოფის განვითარებაში ამას არ ჰქონია (ან საუჭუა ჰქონდა) ადგილი, ამიერიდან, ნ. ბარამიძის მიერ ექსპერიმენტულად დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ნებისყოფის განვითარებაში თავი იჩინა აქსელერაციის სანიაღვრევე ტენდენციამ — რეტარდაციამ. იგივე ვითარება დადასტურდა შორეული მოტივაციური ქცევისა და „მაჟეს ფენომენების“ დაძლევის უნარის მიმართების შესწავლასადმი მიძღვნილ მეტად სანტივრესო გამოკვლევაშიც. ავტორის ნაშრომებში მოცემულია ამ ტენდენციის მისეული ახსნაც.

ნ. ბარამიძე ინტერესით იკვლევს ისტორიული ფსიქოლოგიის საკითხებსაც (ეს მისი ერთ-ერთი გატაცებაა). მაგალითად, ხასიათის სტრუქტურაში მთელისა და ნაწილის უზნაძისეული გაგების საფუძველზე, მან წარმოადგინა სტალინის გაზაფხულებული ლენინისეული დახასიათების მეტად ორიგინალური ანალიზი.

ბოლოდროინდელი შრომებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მისი თეორიუ-

ლი ხასიათის გამოკვლევები ნებისყოფის ფსიქოლოგიაში, რომლებშიც ნებისყოფის ნილიაახლებური შეხედულება წარმოადგენს ფენომენოლოგიაზე, კერძოდ „მე მინდა“ და „მე უნდა“ განცდების ადგილზე ნებისყოფის სტრუქტურაში. როგორც ცნობილია, დ. უზნაძეს და შ. ჩხარტივილის განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ ამ საკითხზე. ნ. ბარამიძე პრობლემის საინტერესო ანალიზის საფუძველზე ორივე ზემოაღნიშნული განცდის არსებობას ადასტურებს ნებისმიერი ქცევის (ოღონდ მისი სხვადასხვა ეტაპის) სტრუქტურაში დამაჩნია, რომ უზნაძისა და ჩხარტივილის შეხედულებები ფაქტობრივად ავსებენ ერთმანეთს და ქმნიან ერთ მწყობრ შეხედულებას ნებისყოფისა და ნებისმიერი ქცევის შესახებ. თუმცა, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსაზრებამ მეტად საინტერესო, ჭეშმარიტად მეცნიერული პოლემიკა გამოიწვია, რაც პრობლემის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ცხადია, ჩვენ ვერ შევხებით ნ. ბარამიძის ყველა შრომას, თუნდაც მნიშვნელოვანს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მისი ნაშრომები ეხება, აგრეთვე, სახელდების პრობლემას, ნებისმიერი და წნეობრივი ქცევის ურთიერთმიმართებას, აღზრდისა და განათლების საკითხებს და სხვა.

აღსანიშნავია, რომ იუბილარის წიგნები და სტატიები გამოყენებული და მითითებულია 30 ავტორის 45-ზე მეტ ნაშრომში. ავტორთა შორის არაერთი ცნობილი მეცნიერია. მისი რედაქტორობითა და წინასიტყვაობით გამოცემულია 20-მდე წიგნი.

ამასთან, ბატონი ნოდარი გულგრილი არასოდეს ყოფილა ქვეყნად, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური და კულტურული პროცესებისადმი. ამ საკითხებსა თუ პრობლემებზე მას უამრავი პუბლიცისტური წერილი და სამეცნიერო სტატია აქვს გამოქვეყნებული.

ნ. ბარამიძის ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ არის დაფასებული. მას მინიჭებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო ნობელები, დაჯილდოებულია საქართველოს განათლების სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდენტის საპატიო სიგელებით, იაკობ გოგებაშვილის მედლით და ღირსების ორდენით.

შესანიშნავი მეცნიერს, პედაგოგსა და პიროვნებას ნოდარ ბარამიძეს ასევე შესანიშნავი ოჯახი აქვს. მეუღლე — ქალბატონი ნათელა, ორი შვილი — მამუკა /ეკონომისტი/ და ირაკლი /ისტორიკოსი, პროფესორ/ და ხუთი შვილისშვილი.

ბატონმა ნოდარმა თავის იუბილეს თვითონვე გაუკეთა არაჩვეულებრივი საჩუქარი, გამოაქვეყნა ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი — <ჩემი გადასახედიდან> /ბათუმი, 2016/, სადაც იგი მოკლედ და ლაკონურად მოგვითხრობს განვლილ ცხოვრების პერიოტივებზე, მშობლიურ სკოლაზე, მასწავლებლებზე, სოფელ გონიოზე, ბარამიძეთა გვარის ისტორიაზე, მშობლიურ გარემოსა და ოჯახზე. ამ წიგნით ბატონ იუბილარის დაფარული მწერლური ნიჭიცაა გამჟღავნებული.

ბატონი ნოდარი საპასპორტო მონაცემებითაა 70 წლის, თორემ შემართებითა და შრომისუნარიანობით გაცილებით ნაკლები ასაკისა გამოიყურება. იმედია იგი კვლავ არაერთხელ გაგვახარებს ახალი მიღწევებით და კიდევ დიდხანს იქნება ასე შემართული მეცნიერების, პედაგოგიური საქმიანობისა და თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ნათელა იმედაძე
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი

მიხეილ მახარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

მირაზ მალარაძე
ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი

ილია კეჭავაძე
ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი



სიტყვა იუბილარ მასწავლებელს!

ვაჟა ფშაველას აქვს ერთი მოთხრობა, მოცულობით პატარა, მაგრამ გენიალობით დატვირთული. „უძმოს ძმა“ ჰქვია იმ მოთხრობას, რომლის მთავარ გმირს, სახელად ჩაღბოს, თავისი საწუთისოფლო ცხოვრების აზრად ის მიაჩნია, რომ ძმობა გაუწიოს იმას, ვისაც ძმა არ ჰყავს და მართოდ დარჩენილ დასჯა-დაჩაგვრა ემუქრება.

ვაჟას მოთხრობის მთავარ გმირად სავსებით შესაძლებელია ბატონი ნოდარი წარმოვიდგინოთ. ჩემი მეგობრები ვერ დაასახელებენ ვერცერთ მაგალითს, ბატონი ნოდარი კაცს გვერდით რომ არ დადგომოდეს, არ დახმარებოდეს.

არიან პედაგოგები, რომლებიც თავისი საერთო განათლებით, ერუდიციით იპყრობენ სტუდენტთა გულს, მაგრამ ვერ არიან მისაბამი პირადი ღირსებებით. ასევე გვხვდებიან პიროვნული ღირსებებით, ზნეობით შემკული პედაგოგები, მაგრამ ძალზე ჭირს მათი ლექციის მოსმენა. ბატონი ნოდარი ერთ-ერთი იმთავანია, რომელშიც ჰარმონიულადაა შეზავებული მაღალი ზნეობრიობა, კეთილშობილება, სიკეთე და მრავალმხრივი ცოდნა, გონიერება, ინტელექტი. ამიტომაცაა იგი საყვარელი და პოპულარული მასწავლებელი. მე მქონდა ბედნიერება ვყოფილიყავი მისი სტუდენტი. მაშინ ერთი ლექცია ორი 45 წუთისაგან შედგებოდა. შესვენებაზე,

შუალედში ბატონი ნოდარი ხშირად რჩებოდა ჩვენთან და მახსოვს უნივერსიტეტის I კორპუსის III სართულის ფოიესა თუ უკანა მხარეს, პატარა რკინის აივანზე ჩვენ თავისუფლად ვმსჯელობდით იმდროინდელ პრობლემატიკაზე, ეროვნულ პრობლემებზე, საბჭოთა სისტემის ნაკლოვანებებზე, საბჭოთა ლიდერებზე და ა.შ. ჩვენს წინაშე იყო მასწავლებელი, ლექტორი, რომელიც არ გაუბოდა არცერთ საჭირობო კითხვას, მათ შორის იმდროინდელი იდეოლოგიისათვის მიუღებელს. ამიტომაც შევიყვარეთ იგი.

ბატონ ნოდართან ყოველი შეხვედრის დროს მე ვგრძნობ თავს მასწავლებლის წინაშე. მინდა ყოველთვის გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება, რასაც ვერ ვახერხებ ხშირად. ახლა კი, მისი დაბადების საიუბილეო 70-ე წელთან დაკავშირებით საჯაროდ მინდა ვუთხრა მადლობა სიკეთისათვის, სიყვარულისათვის, კაცურკაცობისათვის, მისაბამი პედაგოგობისათვის, იმისათვის, რომ მასწავლა არა მარტო საგანი, არამედ ადამიანური ურთიერთობების ხიბლი, ერთმანეთის დაფასება, მეგობრობის ფასი და პრინციპების ერთგულება. იმისათვის, რომ ის ყოველთვის იყო კაცი და არასდროს ყოფილა კაცის კაცი.

ლრმა პატივისცემით და მოკრძალებით, პროფესორი თამაზ ფუტყარაძე

უნივერსიტეტში ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანის მსოფლიოების აუდიტორია გაიხსნა



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის 93 წლის იუბილესთან დაკავშირებით აზერბაიჯანის მსოფლიოების აუდიტორია გაიხსნა. აუდიტორია აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალ-ლეიტენანტის კონსულმა ქალაქ ბათუმში რამად ისმაილოვმა, ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ხალვაშმა, აჭარის არ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ავთანდილ ბერიძემ და აჭარის არ. განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გიორგი თავაძაშვილმა გახსნეს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა

და აზერბაიჯანის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის უკვე რამდენიმე წელია მოქმედებს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამები, მიმდინარე სასწავლო წელს მემორანდუმით გაფორმდა აზერბაიჯანის არქიტექტურისა და მშენებლობის უნივერსიტეტთან, რომელიც ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედებას ითვალისწინებს. აზერბაიჯანის მსოფლიოების აუდიტორია ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას და საგანმანათლებლო და კულტურული პროექტების განხორციელებას.

პროექტი „შეხედოთ სამყაროს სხვისი თვალებით“

მთელი ცხოვრებაა გეძებ, მთელი ცხოვრებაა გნატრობ, იცი?! შემეშაღე ერთხელ, ახლა მოგაგენი ვატყობ. შეხედოთ სამყაროს სხვისი თვალებით.



ამ სამყაროში ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი, თანაგრძნობაზე ფიქრობს, თანაგრძნობაზე საუბრობს და თანაგრძნობას ელის. ამის გათვალისწინებით მთელ სამყაროს შესაძლებელია შეხედოთ ისე, როგორც თანაგრძნობის სიმფონიას. სხვადასხვა ხმა, ჰანგი ისეთი რიტმით ისმის და იღვრება, შეუძლებელია, ეს არ შენიშნოთ და ვერ გაიგოთ; და შემდეგ კი თითოეული თანაგრძნობისა და სიყვარულის უკან ვერ იგრძნობთ ის ღვთის წყალობა, რომელიც ამ იდუმალ გუნდს მართავს და რომელიც ყველაფერს გარს აკრავს, მათ, იმ უზადრუკ სულებს, რომელთაც ეს არ ესმით!.. ყოველივე ამის წინაშე ადამიანს ეკისრება პასუხისმგებლობა, თავისი ჭკუითა და ნებით, გონებითა და აზრით შეიმეცნოს ეს უკიდვანო წყალობა და მას საკუთარი სუნთქვა და მელოდია შემატოს. მთელი ცხოვრებაა გეძებ, მთელი ცხოვრებაა გნატრობ, იცი?! შემეშაღე ერთხელ, ახლა მოგაგენი ვატყობ.

2016 წლის 3 აპრილს დავესწარი ტრენინგს „ჩ/დ სცპოლ პროფექტს“ (სასკოლო პროექტები დემოკრატიულ განათლებასა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებასში). ტრენინგი ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ჩაატარეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორმა დარეჯან გელაძემ და ამავე უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დოქტორანტმა ლილი ქორიძემ. ტრენინგის მიზანი იყო სკოლის დემოკრატიული მმართველობის სფეროებისა და პრინციპების გაცნობა და ამ პრინციპების ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში დასაქმების იდეოლოგიის დასაფუძვლები და განხორციელება. სწორედ ამ ტრენინგზე

დაგვებადა იდგა, რომ დავხმარებოდი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. დავეცემე პროექტი თემად: „შეხედოთ სამყაროს სხვისი თვალებით“, რომელიც ითვალისწინებდა სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას და მათ შორის საქველმოქმედო კონცერტის ჩატარებას, თანხის შეგროვებას და ამ თანხით შშმ პირებისათვის საჩუქრების გადაცემას.

პროექტში ჩავრთეთ, როგორც სასკოლო საზოგადოება, ისე საზოგადოების სხვა წევრებიც. ამ ტიპის პროექტები ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ქველმოქმედების უნარის გაღვივებას, სწორ ინფორმირებულობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებასთან ინტეგრაციას, მათი თვითშეფასების კოეფიციენტის ამაღლებას და რაც მთავარია დემოკრატიული ღირებულებებისა და კულტურის ჩამოყალიბებას. გუნდის წევრებმა გავიანალიზეთ აქტივობები, ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით შეხვედრები მოვანყეთ ბათუმისა და ჩაქვის საჯარო სკოლებში, ვესტუმრეთ მახინჯაურის რეაბილიტაციის ცენტრის თანა“-ს აღსაზრდელებს — ინდივიდუალურად ვაგეცანი მათ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. 2016 წლის 25 აპრილს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარეთ გრანდიოზული კონცერტი, რომელშიც ჩართული იყვნენ თვითონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სტუდენტები, ანსამბლი მაქსელა (ცეკვა ქართული და განდაგანა) ანსამბლი „ოპონანა“ (ცეკვა კავკასიური და ფარიკაობა), მოხალისე მომღერლები სხვადასხვა რეპერტუარით. კონცერტი დასრულდა ერთობლივი სიმღერით. სიხარული, სიყვარული და ერთობა ავსებდა დარბაზს.

გაცივლი ბილეთებიდან შემოსული თანხით, 2016 წლის 26 აპრილს ისევ ვესტუმრეთ მახინჯაურის რეაბილიტაციის ცენტრ „თანას“ აღსაზრდელებს და საჩუქრებით დატვირთულ გუნდს მივულოცეთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული.

მადლობა გვიანდა გადავუხადოთ პროექტის ორგანიზატორებს განათლების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორ დარეჯან გელაძეს, დოქტორანტ ლილი ქორიძეს, უნივერსიტეტის რექტორატს, ლექტორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, ბათუმის, ჩაქვის კერძო და საჯარო სკოლის მასწავლებლებს და მოსწავლეებს, მახინჯაურის სარეაბილიტაციო ცენტრის „თანას“-ს ხელმძღვანელს ქალბატონ ნანა საყვარელიძეს, ცენტრის აღსაზრდელებს, ამზღვდელებს, შობლებს, კონცერტის ორგანიზატორებს, მონაწილეებს და განსაკუთრებით უნივერსიტეტის თვითმმართველობას, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს პროექტის წარმატებით განხორციელებაში.

გვიანდა ყველას მოგილოცოთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, უფლის მაღლი შეგენით ქველმოქმედება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტები: ცისნამი სოზრავანიძე, ნათელა მარკოიძე, თაინა ღარაიძე, ნინო ირემაძე, თაინა ართვალაძე, რიტა ირემაძე, ფატი აბაშიძე, ამავე უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ინდირა ხინკილაძე.



უკვე ტრადიციად ქცეული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია — ჩვენი სულიერების ბალავარი

2016 წლის 13-14 მაისს ბათუმის შრს უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტმა მერვედ უმასპინძლა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას — „ჩვენი სულიერების ბალავარი“, რომელზედაც ამჯერად 58 მოხსენება იქნა წარმოდგენილი ისტორიის, ეთნოლოგიისა თუ ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან.

სხდომაზე ნაკითხულ იქნა მხოლოდ ერთი მოხსენება — „ქართული ასომთავრული — საკრალური პოეზია“ (უჩა ოქროპირიძე, ბათუმი), შემდეგ კი მისმა მუშაობამ სექციებში გადაინაცვლა.



კონფერენციის პირველი პლენარული სხდომა ჩატარდა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში.

კონფერენციაზე მეტად საინტერესო და ღრმა შინაარსიანი მოხსენებებით წარსდგნენ ცნობილი მეცნიერები — პროფესორი გელა საითიძე („საქართველოს ეკლესიის საკითხი რუსეთის მესამე სათათბიროში“), რომლის მიერ კონფერენ-



ლისი, ეთერ ქავთარაძის (ბობლიის ქართული თარგმანის მეცნიერული ისტორიიდან — თბილისი), ბიჭიკო დიასამიძის („დასავლეთ ქართული ეკლესია და საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესი IX-X საუკუნეებში“), მიხეილ მახარაძის („ვეფხისტყაოსნის“ იდეური წყაროები - ბათუმი), თამარ გოგოლაძის („ათამა ონიკაშვილი, პირველი ფერეიდელი ქართველი, და XIX საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწენი“ — გორი), ოთარ ნიკოლეიშვილის („ილია ჭავჭავაძე და ქრისტიანობა“ — ქუთაისი), მიხეილ ხალვაში („წმინდა წყაროების“ „ამოუხსნელ“ გამონათქვამთა შესახებ“ — ბათუმი), მაია ქარცივაძის („ქრისტესისხლას გამოყენება მედიცინასა და ფოლკლორში“ - ხარკოვი, უკრაინა), ნაილე მიქელაძისა და ნაილა ჩელეზაძის („გვანცა-ლელას მთასთან დაკავშირებული თქმულების ზოგიერთი საკითხისათვის“ - ბათუმი),

მადონა კეჟერაძის („ჰომილეტიკის დასაწყისი. მისი სახეები. ნათარგმნი და ორიგინალური ჰომილეტიკური კრებულები“ — თბილისი) და სხვათა მოხსენებები.

სექციათა მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა, აგრეთვე პროფესორებმა: ლელა სარალიძემ, დოდო ჭუმბურიძემ, გელა საითიძემ, ბიჭიკო დიასამიძემ, უჩა ოქროპირიძემ. კონფერენციის მაღალი შეფასება მისცა კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობამ და მის ორგანიზატორთა, საერთოდ, ყველა მონაწილის მიმართ გამოითქვა უდიდესი მადლიერების გრძობა, უკვე ტრადიციულად ქცეული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის- „ჩვენი სულიერების ბალავარი“, მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. კონფერენციის მიმდინარეობის დღეებში მისმა მონაწილეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ქალაქ ბათუმის ღირსშესანიშნაობანი, ამას-

თან, ეწვივნენ ბათუმის არქეოლოგიურ და აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმებს.



აღსრულებული მთლიანი 1918 წლის 26 მაისი — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა

დასაწყისი მე-4 გვ. -ზე

წაიკითხეთ და გასიამოვნეთ. ჰალიუდის განცხადებით, მოლაპარაკებას საფუძვლად უნდა დასდებოდეს თურქების მიერ შემუშავებული საზავო ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც მან გადასცა ამიერკავკასიის დელეგაციას. ამ საზავო ხელშეკრულების პირობები გაცილებით უფრო მძიმე და კაბალური იყო ბრესტ-ლიტოვსკის ანალოგიურ დოკუმენტთან შედარებით. განსაკუთრებით აღმამოფოთებელი იყო ტერიტორიული პრეტენზიები: თურქეთი აღარ კმაყოფილდებოდა ყარსის, არტაანისა და ბათუმის მხარეების შეერთებით და დამატებით მოითხოვდა ახალქალაქის, ახალციხის, აუღესანდროპოლის, ეწმიაძინისა და სურმალინის მხარეების გადაცემას. ამრიგად, თურქები ცდილობდნენ მიეღწიათ რუსეთ-თურქეთს შორის 1829 წლამდე არსებული საზღვრის აღდგენისათვის.

ფარგლა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობებით.

თხულობთ ბათუმიდან გაგზავნილ დეპეშაში. 26 მაისს გაიხსნა სეიმის სხდომა, რომელმაც მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შესახებ.

დაამოუკიდებლობის აღდგენის დღეა. 1918 წლის 26 მაისს ქართველი ერის ახალ ისტორიაში უდიდესი მოვლენაა. დამოუკიდებლობის აღდგენით წარმატებით დასრულდა ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის წარმოებული ხანგრძლივი და დაძაბული ბრძოლა. აღსრულდა ქართველთა არაერთი თაობის ოცნება. დადგა ნანატრი ჟამი თავისუფლებისა და აღმშენებლობისა.

ჯემალ კარალიძე
ასოცირებული პროფესორი



საქართველო – აბრეშუმის გზა გადაფრენი ფრინველებისათვის

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, რაც გამოხატულია მის სიდიადეში, სილამაზეში, ფლორისა თუ ფაუნის მრავალფეროვნებასა და მრავალრიცხოვანობაში. პატარა, მაგრამ თვალწარმტაცი ბუნების მქონე ქვეყანა არასოდეს განიცდის სტუმრების სიმცირეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. თუმცა, მხოლოდ ადამიანები როდესაც გვსტუმრობენ. ჩვენი ქვეყანა ყოველ წელს მასპინძლობს მიგრირებად ფრინველთა სხვადასხვა გუნდს.

საქართველოს ყოველწლიურად მილიონზე მეტი ფრინველი გადაფრენს, მათი მშენებელი, თვალწარმტაცი და მრავალრიცხოვანი გუნდი ყოველი წლის შემოდგომაზე ფარავს ბათუმის ცას და უამრავ ტურისტსა თუ მეცნიერ-მკვლევარს იზიდავს. მეცნიერთა აზრით, აქაური რელიეფი ისეა მოწყობილი, რომ მიგრაციის დროს საქართველო წარმოადგენს გადაფრენ ფრინველთათვის „აბრეშუმის გზას“ ანუ გზას, რომელიც საუკეთესო სამიგრაციო საშუალებაა ფრინველთათვის.

ამ ნაწილში ისინი ისვენებენ, ჩერდებიან საკვების, წყლისა და ენერჯის აღსადგენად, ზოგიერთი სახეობის ფრინველი აქ ეძებს მცნევილეს გამრავლებისათვის, ჩეკს თავის მომავალ თაობას, აფრთიანებს და აგრძელებს მიგრაციას. გამრავლებას დიდი დრო სჭირდება და ასეთ შემთხვევაში, მიგრაცია უფრო ხანგრძლივი ხდება. ფრინველებზე დაკვირვებისათვის სავალთვალო კომპლექსები დამონტაჟებულია სოფელ სახალგაშოსა და შუამთაში, საიდანაც აკვირდებიან მსოფლიოს გადაფრენ ფრინველებს. ბათუმის „ძაბრში“ 2013 წელს 1'300'000-ზე მეტი ფრინველი დაითვალეს სპეციალისტებმა. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო მსოფლიოს ნებისმიერ ძაბრს შორის.

ამრიგად, ფრინველების გადაფრენა მსოფლიო მოვლენაა და მაისის მეორე კვირაში, დედამიწის თითქმის ყველა წერტილში აღნიშნავენ ფრინველთა მიგრაციის საერთაშორისო დღეს. საქართველოში, კერძოდ, ბათუმში, უკვე მრავალი წელია, ყოველი წლის 10-15 მაისს, ფრინველთა მიგრაციის კვირეული აღინიშნება. ამ პერიოდში, ღონისძიების ორგანიზატორები — ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამსახურები და მათთან ერთად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტი, უკვე მრავალი წე-



მიმდინარე წლის 15 მაისს ფაკულტეტის სტუდენტები გადაფრენ ფრინველებზე დაკვირვების მიზნით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად, კვლავაც გავემგზავრეთ ჭოროხის დელტის შესართავისაკენ. იქ არასამთავრობო ორგანიზაცია „ფსოვის“ წარმომადგენელი ჯიმშერ მამუჭაძე სტუდენტებს ესაუბრა მდინარე ჭოროხის დელტისა და ზოგადად, შავი ზღვის ბათუმის სანაპირო ზოლის მნიშვნელობის შესახებ მიგრირებადი ფრინველებისათვის. ამინდი სავლელ დაკვირვებისა და მცირე ექსკურსიისათვის შესაფერისი იყო. ჭოროხის შესართავის სიღრმეში, სადაც ადრე სათევზე მეურნეობები იყო მოწყობილი, დღეს კარგი ადგილია წყალხმელეთა ფრინველებისათვის და შესაბამისად საშუალება მოგვეცა, დავეკვირვოდით მათ. აქ დაგვხვდა: მელოტა, ოჩოფეხა, ბოლოსადგისა, წითელთავა იხვი, წითური ყანჩა, რუხი ყანჩა, მტაცებლებიდან ძერა და მინდვრის კაკაჩა. გაზაფხული შე-

და ბულბულიც კი შევნიშნეთ. სტუდენტთა უმეტესობას ოფოფი აქამდე მხოლოდ წიგნებში თუ ენახა, ახლოდან ნახა კი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე.

მიგრირებად ფრინველებზე დაკვირვება, საინტერესოსთან ერთად, საქართველოსათვის სიკეთის მომტანი აღმოჩნდა ტურიზმის განვითარების თვალსაზრისითაც. ალბათ გაგიგიათ სიტყვა „ბერდვორინგი“ (ინგლ. ბერდვორინგი), რაც სიტყვა-სიტყვით ფრინველებზე დაკვირვებას ნიშნავს, ხოლო ადამიანებს, რომლებიც ფრინველებზე დაკვირვებით არიან გატაცებულნი მათ „ბერდვორინგს“ უწოდებენ. ისინი ჩამოდიან საქართველოში ყოველი წლის შემოდგომაზე, აგვისტოდან ოქტომბრის ჩათვლით, ტარდება ეკოტურები კოლხეთის სხვადასხვა მიმართულებით, ფოთიდან ჭოროხის დელტის ჩათვლით, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა მათგან იღებს ეკონომიკურ სარგებელს. ტურისტთა რიცხვი ყოველ წელს მატულობს, გასულ წელს 2 000-ზე მეტი ტურისტი აკვირდებოდა გადაფრენ ფრინველებს. ისინი ღამით ადგილობრივი მოსახლეობის ოჯახებსა და საოჯახო ტიპის სასტუმროებში ჩერდებიან, რომელთაც საგანგებოდ აწყობენ ჩამოსული დამსვენებლებისათვის.

საბოლოოდ გვსურს აღვნიშნოთ, რომ აჭარის ზემოთ აღნიშნულ ტერიტორია — ბათუმის „ძაბრი“ შეიცავს მაღალ პოტენციალს ტურიზმის განვითარების, სამეცნიერო კონსერვაციული საქმიანობის ჩატარებისა თუ კვლევისათვის. აღნიშნულ ტერიტორიებზე მეტად დიდია ანთროპოგენური ზემოქმედება, რაც საფრთხეს უქმნის ადგილობრივ ფლორასა და ფაუნას. მიგვაჩნია, რომ საჭიროა ამ ტერიტორიების ზუსტი მეცნიერული შესწავლა და იმ მნიშვნელოვანი ადგილების აღკვეთილებად გამოყოფა, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი, ასევე მიგრირებადი ფრინველებისათვის.



მიგრაციის ფრინველების მიმოფრენას უწოდებენ, რომელიც წელიწადის დროის სეზონურ ცვლილებებთანაა დაკავშირებული. ეს მოვლენა ოდითგანვე იპყრობდა ადამიანთა ყურადღებას. პირველი ცნობები ფრინველთა გადაფრენაზე ჯერ კიდევ არისტოტელეს აქვს აღწერილი მერცხლების მაგალითზე, რომელმაც დღეს მსოფლიო მნიშვნელობა მიიღო.

ფრინველთა მიმოფრენა მეტად მნიშვნელოვანი და მეცნიერულად საინტერესო მოვლენაა. ის ძირითადად დაკავშირებულია საკვების ბაზის სეზონურ ცვლილებებთან და ამიტომ, მტაცებელ ფრინველთა გადაფრენაც სეზონურია. მიგრაცია ძირითადად მიმდინარეობს გაზაფხულსა და შემოდგომაზე, თუმცა ხშირად სხვადასხვა სეზონის სამიგრაციო გზა არ ემთხვევა ერთმანეთს. ფრინველები მიგრირებენ როგორც დედამიწის განედებსა და გრძედებს შორის, ასევე მთასა და ბარს შორის. მაგალითად, კაკაჩები და ქორები დიდი კავკასიონის მთიანი ქედიდან გამოსაზამთრებლად ბარის ტყეებში და ქალაქის ტყე-პარკებში ეშვებიან.

სხვადასხვა სახეობის ფრინველთა მიგრაციები გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, მტაცებელი ფრინველები მიგრირებენ ცალ-ცალკე, ფართო ფრონტით და მიგრაციის დროს ენერჯის მნიშვნელოვნად ზოგავენ. ამისათვის იყენებენ შაერის ზეაღმავალ ნაკადებს, რომლებიც წარმოიქმნება მთის ფერდობის დაქანების შესაბამისად.

მრავალი მტაცებელი, გადაფრენისას თავს იყრის ისეთ ადგილებში, როგორებიცაა მეზოამერიკა, გიბრალტარის, მესინა-სიცილიისა და ბოსფორის სრუტეები და მათ „ბოთლის ყელს“ ან „ძაბრს“ უწოდებენ, აღსანიშნავია, რომ შავარდნისნარიები და ძელქორები გადაფრენისას უფრო აქტიურ ფრენას მიმართავენ და არ ქმნიან მკვეთრ ძაბრებს, რაც კავშირშია მათი ფრთების ფორმას, ზომასა და მოყვანილობასთან.



ფრინველთა მიგრაციის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ზემოთ ხსენებული „ძაბრების“ პრაქტიკულ გამოყენებას ფრინველებზე დაკვირვების, თვალთვალის, მათი რიცხოვნობის შესწავლისა და მეცნიერული კვლევის ჩატარებისათვის. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი, ორნითოლოგებისა და უბრალოდ, ფრინველების მოყვარული ადამიანებისათვის, მიმზიდველი „ძაბრი“, მდებარეობს საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც ყოველწლიურად ასი ათასობით ფრინველი გადაიფრენს.

ბათუმის „ძაბრი“ იქმნება შემოდგომის ყოველი მიგრაციის დროს, როცა ევრაზიის კონტინენტიდან მომავალი ფრინველები გადმოლაზავენ კავკასიონის მთავარ ქედს. ესაა ვინო „კორიდორი“, რომელსაც აღმოსავლეთით ესაზღვრება ლიხის, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი — მესხეთის ქედები, დასავლეთით შავი ზღვა ეკვრის, ამიტომ ფრინველები კოლხეთის დაბლობში, კონკრეტულად კი, ბათუმის მახლობლად იყრის თავს და გზას განაგრძობენ თურქეთის გავლით აფრიკისაკენ. საქართველოს



ლია აღნიშნავენ გადაფრენ ფრინველთა დღეს. იმართება ლექციები, პრეზენტაციები, ტარდება მცირე ექსკურსიები ბათუმის შემოგარენ ტერიტორიებზე, რომელთაც აქვთ დიდი ეკოლოგიური მნიშვნელობა ფრინველებისათვის, აკვირდებიან ფრინველებს და სხვა.

მოდგომასთან შედარებით ნაკლებად გამოირჩევა მტაცებელ ფრინველთა სახეობების სიუხვით, თუმცა თოლიების ნახვა აქ წელიწადის თითქმის ყოველ დროსაა შესაძლებელი. მოგზაურობა საკმაოდ დამსვენებელი, თუმცა მეტად საინტერესო აღმოჩნდა. უკან დაბრუნებისას გზად ოფოფი

რედაქტორი
იოსებ სანიკიძე
სპეციალისტი
ნესტან მამუჭაძე



სარედაქციო კოლეგია:
ნანა ცაცხლაძე, ინგა შამილიძე, ნათია ნიკლაშვილი, მურმან ცაცხლაძე, მურმან გორგოჯაძე, ღვთისმშობლისძე, გურამ ჩაბანავა, შოთა მამულაძე, გუგული ღვინჯიანი, ნუგზარ ლომიძე

გაზეთი დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა კოლხორში“ ტელ.: 271 76 45 მის.: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი 20